პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 247 (10023) | კვირა, 17 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

გ. მ. მალენკოვმა მიიღო ინგლისის პარლამენტის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **შ. ჭუტიძე.** — კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს (მე-2 გვერდი).

სევასტოპოლის 1854-1855 წლების დაცვის ასი წლისთავის გამო. — **მ. ტუროვსკი.** — რუსული ეროვნული დიდების ძეგლი (მე-2 გვერდი).

ფელეტონი. — **ვ. ბაიაძე, ი. თედიაშვილი.** — მლოცველები ზნაურიდან (მე-2 გვერდი).

დღეს გაიხსნება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა მოხრანის სარწყავი სისტემა (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

გ. ზარდალიშვილი. — რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობა ჩინეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკებში (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართოდ გავავრცელოთ საბჭოების მუშაობის მოწინავე გამოცდილება

სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის სწრაფი აღმავლობის საქმეში დიდი და სერიოზული ამოცანები აკისრიათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს. ისინი მოწოდებული არიან საქმის ცოდნით, კონკრეტულად უხელმძღვანელონ ადგილებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, ყოველდღიური ნასობრივ-ორგანიზაციული მუშაობით უზრუნველყონ მშრომელთა მჭიდრო დაკავშირება კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმებმა უდიდესი ამოცანები დაუსახეს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს სოფლის მეურნეობის შენდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. შეიარაღებული არიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, ადგილობრივმა საბჭოებმა გარკვეულად გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობისადმი. ისინი ახლა გაცილებით უფრო უნარიანად და სწორად წყვეტენ პრაქტიკულ ამოცანებს, შენდგომ განამტკიცებენ კავშირს მასებთან. ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო სოფლის რაისაბჭოების აღმასკომების სტრუქტურის ცვლილებებმა, რაც სექტემბრის პლენუმის შემდეგ განხორციელდა, და სასოფლო საბჭოების გამსხვილებამ, რაც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა.

ახლა ადგილობრივი საბჭოების, კერძოდ, რაისაბჭოების აღმასკომებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაკები უფრო ხშირად არიან კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში პრაქტიკული დახმარების გასაწევად, უკეთესად სწავლობენ და სწვდებიან საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკას, ადვილად ამჩნევენ გამოუყენებელ რეზერვებს, პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის. გარკვეულად იგრძნობა სხდომების რიცხვის და სასხდომო ფუსფუსის შენცირება და ცოცხალი, პრაქტიკული ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერება.

ბევრმა ადგილობრივმა საბჭომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დადებითი გამოცდილება შეიძინა. ნაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ბათუმის რაიონის ახალშენის სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ა. ვერძაძე). სასოფლო საბჭოს სესიაზე, აღმასკომის სხდომაზე სისტემატურად განიხილავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს, სახავენ საქმიან ღონისძიებებს და უზრუნველყოფენ მათს შესრულებას. სასოფლო საბჭოს, მის დეპუტატებს ცოტა წვლილი როდი მიუძღვით იმაში, რომ ამ სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ 20 სექტემბრისათვის შეასრულა ჩაის ფოთოლის წლიური გეგმა და ახლა ფოთოლს აღებული ვალდებულების ანგარიშში კრეფს. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ინახულეს ამ კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებმა. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა მოაწყო გამოფენიდან დაბრუნებული ამხანაგების შთაბეჭდილებათა გაზიარება კოლმეურნეებისათვის.

მოწინავე სასოფლო საბჭოების გამოცდილების განზოგადება დიდად დაეხმარებოდა რაიონს მის წინაშე დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების უკეთესად გადაწყვეტაში. სამწუხაროდ, ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. დ. თედიძე) ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის.

დღემდე არსებითი ვერაფერი გააკეთა სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომმა იმისათვის, რომ მეურნეობისა და კულტურული მშენებლობისადმი რაიონის ზოგიერთი ნოწინავე სასოფლო საბჭოს დადებითი ხელმძღვანელობის გამოცდილება ყველას კუთვნილება გამხდარიყო. ასეთი გამოცდილება აქვს, მაგალითად, ანაგის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე ამხ. მ. ლომაშვილი), რომელმაც მუშაობა გარდაქმნა ახალ ამოცანათა მიხედვით და საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს სოფლად სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას.

მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებაში და საერთოდ ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული და ხელმძღვანელი როლის ამაღლებაში განსაკუთრებით დიდი ამოცანები აკისრიათ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებათა მუშაკებსა და რაისაბჭოების აღმასკომების ინსტრუქტორებს, რომლებიც ხშირად თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებაზე რიდი მუშაობენ. სწორედ ისინი არიან მოწოდებულნი უმალვე ჩასჯიდონ ხელი იმ დადებითსა და კარგს, რაც ადგილობრივი საბჭოების მუშობაშია, გაავრცელონ და ყველას კუთვნილება გახადონ იგი. ისინი ხშირად უნდა მივიდნენ ადგილებზე, პრაქტიკულად და არა ქაღალდებით უხელმძღვანელონ და დაეხმარონ საბჭოებს, ასწავლონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდები და ხერხები.

საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებაში, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკების სემინარები. ეს სემინარები ისე უნდა მოეწყოს, რომ იგი ნამდვილად აძლევდეს საბჭოთა მუშაკებს გამოცდილებას, ასწავლიდეს საბჭოთა მშენებლობის საკითხებს, უღრმავებდეს თეორიულ ცოდნას.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ამჟამად უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს წყვეტენ: აწარმოებენ საშემოდგომო თესვას და პირუტყვისათვის საკვების დამზადებასა და მისი ბინების მშენებლობას, საფუძველს უყრიან მომავალი წლის მოსავალს, პირუტყვის უნაკლოდ გამოზამთრებას. ამ დიდ საქმეში უფრო სრულად უნდა გამოჩნდეს ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული და ხელმძღვანელი როლი.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე მხოლოდ მაშინ აღმოჩნდებიან თუ სისტემატურად იზრუნებენ მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობის სრულყოფისათვის, შემდგომ განამტკიცებენ კავშირს მასებთან, ყურს დაუგდებენ მათს ხმას, გადმოიტანენ და პრაქტიკულ მუშაობაში დანერგავენ მოწინავეთა გამოცდილებას.

გ. მ. მალენკოვმა მიიღო

ინგლისის პარლამენტის დელეგაცია

16 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღეს ინგლისის პარლამენტის წევრთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

მიღებას დაესწრნენ დელეგაციის ხელმძღვანელი ლორდი კოულრეინი, დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე ნეს ედვარდსი, დელეგაციის წევრები — ჰერცოგი ველინგტონელი, ლორდი სტრაბოლჯი, მოტ-რეტკლიფი, ფრედერიკ ეროლი, ოტო პრაიორ-პალმერი, ნიკსონ ბრაუნი, ედიტ პიტი, რალფ კლარკი, ლორდი ლისტოუელი, სტენლი ევანსი, ჯორჯ უიგი, კრისტოფერ მეიჰიუ, ელეინ ბერტონი, არტურ ჰოლტი.

საუბრის დროს, რომელიც საათზე მეტ ხანს გაგრძელდა თავისუფალ და გულთბილ ვითარებაში, შეეხნენ საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირსა და ინგლისს შორის ურთიერთობის საკითხებს.

მიღებას დაესწრო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი.

ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმების შესრულება

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 14 ოქტომბრისათვის ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს.

ყურძნის კრეფა გრძელდება. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 150 ტონა ყურძენი.

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 14 ოქტომბრისათვის 107 პროცენტით შეასრულეს ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა ყურძენი.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქალაქ სევასტოპოლის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

1854-1855 წლებში სევასტოპოლის გმირული დაცვის 100 წლისთავთან დაკავშირებით და ჩვენი სამშობლოს წინაშე სევასტოპოლის დიდი დამსახურების აღსანიშნავად ქალაქი **სევასტოპოლი** დაჯილდოებულ იქნას **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1954 წლის 16 ოქტომბერი.

ახალი ქალაქი შორეულ ჩრდილოეთში

სიქტივკარი, 15 ოქტომბერი. (საკ. სს). შორეულ ჩრდილოეთში, ურალის მთის ძირას, არის დაბა ინტა. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით იგი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად. ახლა ეს მეხუთე ქალაქია კომის ასს რესპუბლიკაში.

წლითიწლობით იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ინტა. მის ქუჩებს ამშვენებს მრავალსართულიანი ქვიტკირის შენობები. ქალაქის ზემო ნაწილში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აშენდა თორმეტი ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, კავშირგაბმულობის სახლი, რკინიგზის განყოფილების სამმართველოს შენობა.

ადგილობრივ მცხოვრებთ აქვთ კარგი კლუბი, ფიზკულტურის სახლი, ბიბლიოთეკები, 30-მდე მაღაზია. ქალაქში გაყვანილია წყალსადენი.

სევასტოპოლი. დაღუპული ხომალდების ძეგლი ზღვისპირის ბულვართან.

ფოტო ნ. ლეონტოვიჩისა (საკ. სს ფოტოქრონიკა).

სევასტოპოლი დღესასწაულის წინ

სევასტოპოლი, 15 ოქტომბერი. (საკ. სს). სევასტოპოლის გმირული დაცვის 100 წლისთავის აღსანიშნავად საღამოს ქალაქის მოედნებსა და ქუჩებს. ტრანსპარანტები და პლაკატები ამშვენებენ შენობებს. ლენინის სახელობის მოედანზე გამოკიდულია რუსეთის ფლოტის გამოჩენილი სარდლების, ადმირალების მაკაროვის, ლაზარევის, უშაკოვის, კორნილოვისა და ნახიმოვის პორტრეტები.

მრავალი საიუბილეო გამოფენა მოეწყო სწარმოებში, დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებში, კლუბებსა და წითელ კუთხეებში. ქალაქის მშრომელებსა და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებს უკითხავენ მოხსენებებსა და ლექციებს, ეწყობა საუბრები და გაზეთების კითხვა.

ქალაქში ჩამოდიან დელეგაციები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

სევასტოპოლის დაცვის 100 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად სევასტოპოლის მშრომელთა დეპუტატების სამქალაქო საბჭოს აღმასკომმა სახელი შეუცვალა ქალაქის მთელ რიგ მოედნებსა და ქუჩებს, მაგალითად, ბულვარ ეგნატ შევჩენკოს, მედიცინის დის დაში სევასტოპოლსკაიას სახელები. ორ ქუჩას დაერქვა ტომსკისა და მურმანსკის პოლკების სახელები. ახალ ქუჩას დაბა უშაკოვა ბალკაში დაერქვა პირველი ბასტიონის ქუჩა.

★

ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა

ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს საშემოდგომო კულტურების თესვა. 10 ოქტომბრისათვის მათ 115,4 პროცენტით შეასრულეს დაწესებული სახელმწიფო გეგმა და 195 ათასი ჰექტარით მეტი საშემოდგომო კულტურები დათესეს, ვიდრე გასული წლის ამ თარიღისათვის. დათესილია 305 ათასი ჰექტარით მეტი საშემოდგომო ხორბალი, ვიდრე შარშან.

სამხრეთ რაიონების ბევრი მეურნეობა საშემოდგომო თესვას გეგმის გადამეტებით განაგრძობს. (საკდესი).

მწყობრში ჩადგა ახალი შახტი

შახტი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ბვირფასი შრომითი საჩუქარი გააკეთეს ოქტომბრის დღესასწაულისათვის კამენსკის ოლქის შახტმშენებლებმა: საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდი შახტი „აიუტინსკაია-იუჟნაია“. იგი მთლიანად ნექანიზებულია, აღჭურვილია დისტანციური მართვით. შახტმა გამოუშვა პირველი ეშელონი სათბობი.

ქვანახშირის ახალი საწარმოს მახლობლად შექმნილია მაღაროელთა დაბა. აქ აშენდა 70-მდე დიდი საცხოვრებელი სახლი. დაბაში გახსნილია კლუბი, ათწლიანი სკოლა, საბავშვო ბაღი, საბავშვო ბაგები, სასადილო, აბანო-სამრეცხაო კომბინატი და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

გაზეთებსა და ჟურნალებზე ხელმოწერა მოსკოვში

15 ოქტომბერს მოსკოვის კავშირგაბმულობის საქალაქო საფოსტო განყოფილებებსა და „სოიუზპეჩატის“ ჟურნალ-გაზეთების ბევრ კიოსკში დაიწყო 1955 წლის ჟურნალ-გაზეთებზე ინდივიდუალური ხელმოწერა. ხელმოწერა მოწყობილია აგრეთვე დედაქალაქის საწარმოების, ახალმშენებლობების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ხუთი ათას პუნქტში.

1955 წელს გამოვა 40-ზე მეტი საჭელწოდების ახალი გაზეთი და ჟურნალი.

სევასტოპოლის გმირული დაცვის ასი წლისთავის გამო

ნიკოლაევი. ოლქის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ რუსეთის დიდების ქალაქის — სევასტოპოლის გმირული დაცვის მესე წლისთავს. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში კითხულობენ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ ლექციებსა და მოხსენებებს, აწყობენ საუბრებს.

ოლქის ქალაქებისა და რაიონების ბიბლიოთეკებში გახსნილია წიგნების გამოფენები, ფოტომონტაჟები თემაზე: „სევასტოპოლი სამარადისო დიდების ქალაქია“. ნიკოლაევის საზღვაო კლუბში მომზადებულია საზღვაო იარაღის გამოფენა.

ამ დღეებში გაძლიერდა მნახველთა ნაკადი საოლქო მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ქალაქის მშრომელთა დელეგაცია გაემგზავრა სევასტოპოლს ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ დღესასწაულში მონაწილეობისათვის.

ყაზანი. ყაზანის მშრომელები ინტერესით ეცნობიან თათრეთის სახელმწიფო მუზეუმში ექსპონირებულ მასალებს ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის გმირული დაცვის შესახებ.

დიდხანს დგანან მნახველები ქამთა განმავლობაში გახუნებულ ყაზანის ეგერთა პოლკის გიორგის დროშასთან, რომელსაც აქვს წარწერა: „1854-55 წ. წ. სევასტოპოლისათვის“.

მუზეუმში, გარდა პოლკის დროშისა, ინახება ოთხი ასეთივე დროშა, რომლებთაც დაჯილდოებული იყვნენ ყაზანის პოლკის ბატალიონები. ექსპონირებულია დიდი საიუბილეო მედალი, რომელიც გამოუშვეს 1900 წელს ყაზანის პოლკის მე-200 წლისთავისათვის. ამ მედალზე აღნუსხულია ძირითადი ბრძოლები, რომლებშიც პოლკი მონაწილეობას იღებდა.

დიდად საინტერესოა მუზეუმში გამოფენილი სევასტოპოლის დაცვის დროის იარაღი და მედლები, ჟურნალი „სოვრემენიკი“, რომელიც პირველად დაიბეჭდა ლ. ტოლსტოის „სევასტოპოლის მოთხრობები“.

ჩერნოვცი. ლექციები და მოხსენებები ყირიმის ომის, 1854-55 წლებში და დიდი სამამულო ომის დროს სევასტოპოლის დაცვის შესახებ უკვე მოიმართა ბუკოვინაში 100 ათასზე მეტმა კაცმა.

ჩერნოვცის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკაში, ოლქის ყველა საქალაქო და 300 სასოფლო ბიბლიოთეკაში გახსნილია ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენები. მკითხველთა კონფერენციებზე განიხილავენ ლ. ნ. ტოლსტოის „სევასტოპოლის მოთხრობებს“ და სერგეევ-ცენსკის რომანს „სევასტოპოლის ბრძოლები“.

15 ოქტომბერი. (საკდესი).

სევასტოპოლი. ნახიმოვის პროსპექტი.

ფოტო ა. ბაჟენოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ზრდიან თუჯის გამოშვებას

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში საბრძმედე საამქრო ყველაზე ახალგაზრდაა. მისი ამუშავების შემდეგ განვლილ მოკლე ხანში საამქროს კოლექტივი, თუჯის გამოდნობის ურთულესი ტექნოლოგიის ათვისების პარალელურად, თავდადებით იბრძოდა სახელმწიფო გეგმის შესრულებისთვისაც და განუხრელად ზრდიდა ბრძმედის წარმადობას. თუ ივლისში ბრძმედის 1,50 კუბმეტრ მარგ მოცულობაზე ტონა თუჯს უშვებდნენ, აგვისტოში ბრძმედის მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი საგრძნობლად გაადიდეს და ტონა თუჯს 1,26 კუბმეტრზე იღებდნენ. სექტემბერში ეს კოეფიციენტი კიდევ მეტად გაიზარდა და 1,12-ს მიაღწია. ამავე დროს წინა თვესთან შედარებით სექტემბერში თუჯის გამოშვება 11 პროცენტით გაზარდეს.

— მივცეთ სამშობლოს გეგმის გადამეტებით და ყოველდღიურად სულ ცოტა 30 ტონა მაღალხარისხოვანი თუჯი, დავზოგოთ 2.300 ტონა რკინის მადანი, 500 ტონა კოქსი და ერთ თვეში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 320 ათასი მანეთით, — ასეთი ვალდებულება იკისრა საბრძმედე საამქროს კოლექტივმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად.

ოქტომბრის პირველ დეკადაში მებრძმედეებმა თუჯის გამოშვება 22 პროცენტით გაადიდეს, ბრძმედის მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტმა საშუალოდ 0,87-ს მიაღწია, ცალკეულ დღეებში კი 0,72-ს. 10 დღეში გეგმის გადამეტებით გამოდნობილია მრავალი ტონა თუჯი. ამასთან მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგილია ძირითადი და დამხმარე მასალები.

რუსთავის მებრძმედეთა მუშაობას უნარიანად და საქმის სიყვარულით ხელმძღვანელობენ საბრძმედე საამქროს უფროსი ინჟინერი ი. ბესპალოვი და უფროსი ოსტატი ვ. კობერიძე. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან უფროსი მებრძმედეები — ი. პარისაშვილი, მ. კიკვიძე, პ. პაპიკოვი, უფროსი მეაირეები — დ. ადიკაშვილი, ქ. ყანდიაშვილი, მ. ვარდიაშვილი, ჩამტვირთავი მანქანის მემანქანე პ. ოძელაშვილი და სხვ.

2.551.000 მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეჯებით

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტის მთავარ მექანიკურ სახელოსნოში ერთმანეთს ეჯიბრებიან ელექტრო და მექანიკური საამქროების კოლექტივები, რომლებსაც ინჟინერი ქალი ე. ჩხიკვაძე და ლითონის ჩქაროსნული ჭრის ნოვატორი ი. კაპანაძე ხელმძღვანელობენ. საამქროთა კოლექტივები საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებებს 110-120 პროცენტით ასრულებენ. წარმატებით მუშაობენ აგრეთვე საჰაერო-საბაგირო გზების, მარგანეცის გამაუხვებელი ფაბრიკების და მაღალი ძაბვის ქსელების შემკეთებელი ბრიგადები.

სახელოსნოს კოლექტივმა მიმდინარე ხუთწლედში ხუთი სახის ახალი ნაწარმის გამოშვება ათვისა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით 2.551.000 მანეთის პროდუქცია მისცა.

სახელოსნოს ბევრმა მუშაკმა დაუსწრებლად მიიღო უმაღლესი განათლება. 18 კაცი ამჟამად სწავლობს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, ხოლო 33 ახალგაზრდა მეცადინეობს მუშა ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლაში.

2.000 ფუთი შაქარი საშვიდნოემბრო საჩუქრად

ავგარის შაქრის ქარხნის კოლექტივმა 27 სექტემბრისათვის მოვცა ახალი მოსავლის ჭარხლისაგან მიღებული შაქრის პირველი პარტია, ხოლო 15 ოქტომბრისათვის გამოუშვა 21.000 ცენტნერი უმაღლესი ხარისხის ფხვნილი შაქარი.

ჭარხლის შაქრიანობა წელს განსაკუთრებით მაღალია, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 13,5 პროცენტისა, 14,5 პროცენტს უდრის. გამართულად და გაუცდენლად მუშაობს ქარხნის ყველა დანადგარი და აგრეგატი, აღმოფხვრილია ნედლეულის დანაკარგები. საწარმოო გეგმის შესრულებაში მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ცეცხლფარეში შ. ქართველიშვილი, ფილტრწნეხზე მომუშავე გ. მესხი და სადიფუზიო დანადგარზე მომუშავე შ. კაკაშვილი.

ავგარის შაქრის ქარხნის კოლექტივმა იკისრა 7 ნოემბრისათვის სამშობლოს საჩუქრად მიუძღვნას სულ ცოტა 2.000 ფუთი მაღალხარისხოვანი ფხვნილი შაქარი. (საკ. კორ.).

ჩაის ფოთოლი გეგმის გადამეჯებით

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვადამდე 100,2 პროცენტით შეასრულა ფოთლის დამზადების წლიური დავალება, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 1.152 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ პირველი, მეორე და მესამე აგროგანყოფილებები, რომლებმაც წლიური გეგმის გადამეტებით დაამზადეს ათასობით კილოგრამი ჩაის ნედლეული და იკისრეს სეზონის დამთავრებამდე დამატებით მოკრიფონ 30 ტონამდე ჩაი.

მკრეფავები ლ. ჟალკინა, ა. სენდენცკაია, მ. ალმასიანი ჩაბმული არიან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ ნორმებს 250-300 პროცენტით ანაღდებენ.

მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სეზონის დამთავრებამდე მოკრიფოს 50 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

პარტიული ცხოვრება

კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ბოლხისის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა ახალ ამოცანებთან შეფარდებით.

მიმდინარე წლის იანვრიდან ხოლნისისა და თამარისის მტს-ების ზონებში შეიქმნა ინსტრუქტორთა ჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ რაიონული კომიტეტის მდივნები. ეს ჯგუფები აწარმოებენ მთელ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას ორ სამანქანო-სატრაქტორო სადგურსა და 19 კოლმეურნეობაში.

მტს-ების ზონებში მომუშავე ინსტრუქტორთა უკეთ მომზადების მიზნით, პარტიის რაიკომმა ჩაატარა სინსტრუქტაჟო სემინარი, რომელზეც ყოველმხრივ იქნა განხილული რაიონის სოფლებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანები, კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცების ყველა საკითხი. გარკვეულ იქნა რაიკომის ინსტრუქტორის ადგილი კოლმეურნეობაში, მისი ურთიერთობა კოლმეურნეებთან, პარტიულ ორგანიზაციებთან, საბჭოებთან და კოლმეურნეობის გამგეობებთან. ინსტრუქტორებს დაევალათ დეტალურად გასცნობოდნენ კოლმეურნეობის მდგომარეობას, შეესწავლათ ეკონომიკა, ცოცხალი ადამიანები, აქტივი და პარტიული ორგანიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში ზონის ინსტრუქტორების მუშაობას მრავალი ნაკლოვანება ახასიათებდა, მაგრამ პარტიის რაიონული კომიტეტის დროზე ჩარევის შედეგად ეს ნაკლოვანებები თანდათანობით იქნა დაძლეული.

სულ მოკლე ხანში იქ, სადაც ინსტრუქტორებმა გაშალეს ნაყოფიერი მუშაობა, საგრძნობლად გაძლიერდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, განმტკიცდა კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინა, იმატა შრომის ნაყოფიერებამ და მოპოვებულია კარგი სამეურნეო მაჩვენებლები. დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს ჰექტარზე მხოლოდ 26,7 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ზონის ინსტრუქტორმა ამხ. შ. სილაგაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ მდგომარეობას. მან კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე და პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე დააყენა საკითხი, თუ როგორ მიეღწიათ ყურძნის უხვი მოსავლისათვის. მიზანშეწონილად გაანაწილეს კადრები ბრიგადებსა და რგოლებში. თვითეულ კომუნისტს მიეცა კონკრეტული დავალება. უშუალოდ საწარმოო უბნებში გაიშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ყველა სამუშაოს დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას. შედეგიც კარგი მივიღეთ: კოლმეურნეთა თავდადებული შრომით წელს ჰექტარზე სულ მცირე 50 ცენტნერ ყურძენს იღებენ.

რაიონში მეხილეობის განვითარებისათვის ძალიან კარგი პირობებია. კოლმეურნეობის განგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ, გაითვალისწინეს რა შარშანდელი მწარე გაკვეთილი, წელს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ამ მეტად შემოსავლიანი დარგის განვითარებას. მარშან კოლმეურნეობაში ცუდად უვლიდნენ ხეხილის ბაღებს, დაუშვეს ხილის დიდი დანაკარგები და დაბალი მოსავალი მიიღეს. წელს კი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად ყველა აგროტექნიკური ღონისძიება ბაღალ დონეზე შეასრულეს და ერთისამად გაზარდეს ხილის მოსავალი. თუ შარშან კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი მეხილეობიდან 107 ათასი მანეთის უდრიდა, წელს მარტო რვა თვის განმავლობაში ამ დარგიდან უკვე მიღებულია 238 ათასი მანეთი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების საფუძველზე კოლმეურნეობაში გაძლიერდა ბრძოლა მეცხოველეობის განვითარებისათვის; დაჩქარდა საქონლის მექანიზებული ფერმის მშენებლობა ასი საფურაე ძროხისათვის, აგებულ იქნა მეცხვარეობის ორი ფერმა, მეფრინველეობის ფერმა. ყველა ფერმასთან აშენდა სარწყულებელი აუზები.

კოლმეურნეობაში 27 აგიტატორი მუშაობს. სისტემატურად ეწყობა აგიტატორთა სემინარები, რომლებსაც პარტბიუროს მდივანი ლ. რეხვიაშვილი ხელმძღვანელობს. სააგიტაციო მუშაობაში ჩაბმულია ადგილობრივი ინტელიგენცია. სააგიტაციო მუშაობას განსაკუთრებით კარგად ეწევიან კოლმეურნე ლ. ისიანი, აგროტექნიკოსი რ. ბენიძე, მასწავლებელი მ. უნგიაძე, საშუალო სკოლის დირექტორი ა. კონტრიძე და სხვები. სისტემატურად გამოდის საკოლმეურნეო კედლის გაზეთი. მოსავლის აღების პერიოდში ყველა ბრიგადაში გამოდიოდა საველე ფურცლები. ხშირად ეწყობა ლექციები სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, აგრობიოლოგიურ მეცნიერებათა მიღწევებზე, ანტირელიგიურ თემებზე და საერთაშორისო მდგომარეობაზე.

სოფელ კოჩლოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობდა მირზალი ფატულაევი, რომელმაც მთლიანად ჩაშალა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეობაში, დაეცა შრომის დისციპლინა. სამუშაოზე არ გამოდიოდა ბევრი კოლმეურნე, მათ შორის ზოგიერთი კომუნისტიც. ზონის ინსტრუქტორმა ამხ. მ. გასანლიმ პარტიული ორგანიზაციის წინაშე დააყენა შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხი. პარტიულმა კრებაზე, რომელიც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა, ფატულაევი მდივნობიდან გაათავისუფლა და მის მაგივრ ამხ. ხალილ ხალილოვი აირჩია. ინსტრუქტორი ყოველდღიურად ეხმარება ახალ მდივანს, ასწავლის პარტიული მუშაობის საკითხებს. ინსტრუქტორის რჩევით პარტიულმა ბიუროს კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად გასანაწილა კადრები ბრიგადებსა და რგოლებში, გაამლიერა სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. მოკლე ხანში კოლმეურნეობას მდგომარეობის გამოსწორება დაეტყო. წელს კოლმეურნეობამ ხორბლის უხვი მოსავალი მიიღო.

კოლმეურნეობა „კომუნიზმში“ კომუნისტები მამედ შარიფოვი, მაჭედ საფაროვი და ჯამალ მამედოვი საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობდნენ, მოწყვეტილი იყვნენ როგორც წარმოებას, აგრეთვე სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებას. ინსტრუქტორი ამხ. მ. გასანლი პირადად ესაუბრა მათ, გამოარკვია, თუ რა მიზეზები უშლიდათ ხელს მონაწილეობა მიეღოთ საკოლმეურნეო შრომაში. შემდეგ ამ მიზეზების შესახებ საკითხი პარტიული ორგანიზაციის წინაშე დააყენა. პარტიულმა ორგანიზაციამ და კოლმეურნეობის განგეობამ იზრუნეს ამ კოლმეურნეებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად. ახლა მარიფოვი, საფაროვი და მამედოვი აქტიურად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღებში.

რაიონში ჯერ კიდევ არის ისეთი კოლმეურნეობები, რომლებშიც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სათანადო დონეზე არა დგას, დაბალია სამეურნეო მაჩვენებლებიც. სოფელ კაზრეთის კოლმეურნეობა „ოქტომბერში“ პარტბიუროს მდივანი ამხ. მაღრაძე სუსტად ხელმძღვანელობდა პარტიულ ორგანიზაციას. აქ მთლიანად ჩაშლილია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რის გამო დაბალია შრომის დისციპლინა. 50 კომუნისტიდან 5 სრულიად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში, 30 კომუნისტის ოჯახის წევრები არ გამოდიან სამუშაოდ. რაიონული კომიტეტის ბიურომ, მართალია, განიხილა ეს საკითხი, მოხსნა და პარტიული სასჯელი დაადო პარტბიუროს მდივანს მაღრაძეს, მაგრამ საქმე ჯერჯერობით არ გამოსწორებულა. საჭიროა პარტიის რაიკომმა, ზონის ინსტრუქტორმა ქმედითი დახმარება გაუწიონ ახლადარჩეულ მდივანს, იბრძოლონ კოლმეურნეობის ეკონომიკის ამაღლებისათვის. ცუდად მუშაობს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაც. მსგავსი მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება, რაც იმას მოწმობს, რომ პარტიის რაიკომი ჯერ კიდევ ვერ ხელმძღვანელობს ოპერატიულად საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს, ზონის ინსტრუქტორებს.

რაიონის მშრომელების წინაშე დასმული ამოცანის წარმატებით გადაჭრა მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს.

შ. ჟუტიძე,
საქართველოს კ პ ბოლნისის რაიკომის მდივანი.

ხულოს რაიონში

ფართოვდება სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი

ხულოს რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 50-საწოლიანი რაიონული საავადმყოფო, სამი სასოფლო ამბულატორია — სტაციონარი, 4 სასოფლო ამბულატორია, 1 საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება და 1 სანეპიდსადგური. შორეულ სოფელ ყინჩაურში ახლახან დამთავრდა 5-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა.

ელექტროშუქი მთაში

რაიონში დღითიდღე ფართოვდება ელექტროფიკაციის სამუშაოები. მარტო უკანასკნელი 4 წლის მანძილზე აგებულია და ექსპლატაციოდ გადაეცა ღორჯომპესი, ხულოპესი, ირემაძეებპესი და სხვა სასოფლო ელექტროსადგურები. ღორჯომპესის ენერგიით განათებულია ღორჯომის ხაბჭოს 3 კოლმეურნეობა და 10 სოფელი. ამავე სადგურის ელექტროენერგიით მუშაობს ღორჯომის საკოლმეურნეო ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

ხულოპესი, რომლის სიმძლავრე 280 ცხენის ძალას შეადგენს, ენერგიას აწვდის რაონულ ცენტრს და მის მახლობელ 4 კოლმეურნეობას. ამ სადგურის ენერგიის ბაზაზე მუშაობენ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის სამკერვალო.

კარტოფილის უხვი მოსავალი

წელს რაიონის კოლმეურნეებმა კარტოფილის უხვი მოსავალი მოიყვანეს. საცხურის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. მგელაძე), რომელსაც 73 ჰექტარი კარტოფილი უთესია, უკვე დაიწყო მოსავლის აღება. საშუალოდ ჰექტარზე მოღებულია 135 ცენტნერი კარტოფილი. ბრიგადამ, რომელსაც ა. მუშარბაძე ხელმძღვანელობს, თვითეულ ჰექტარზე 140-145 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანა. კოლმეურნეობა წელს შრომადღეზე 12 კილოგრამ კარტოფილს განაწილებს.

ფართოვდება ვაზის ნარგავები

ვენახი აჭარაში ერთ-ერთი უძველესი კულტურაა. აქ ჩინებულად ხარობდა და ხარობს ვაზის ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორიც არის ცოლიკაური, ჩხავერი და სხვ.

ამჟამად რაიონს 47 ჰექტარი ვენახი აქვს. შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 50 ცენტნერი ყურძენი, ანუ 5 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. წელს ხულოელი მევენახეები ჰექტარზე 80 და მეტ ცენტნერ ყურძენს მოელიან. ზონიერთ ნაკვეთზე მოსავალი 100 ცენტნერს გადააჭარბებს. ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის, ყინჩაურის მახარაძის სახელობის, წაბლანის კაგანოვიჩის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

ტ. მალცევის მეთოდით

ხაშური, 16 ოქტომბერი. (საქდესი). რაიონის კოლმეურნეები და მექანიზატორები დიდი ინტერესით სწავლობენ კურგანის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მემინდვრეობის ტ. მალცევის მიერ შემუშავებულ ნიადაგის დამუშავების ახალ მეთოდს.

სოფელ ფლავის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობამ გამოჰყო 24 ჰექტარი საცდელი ნაკვეთი. ამ ფართობიდან 8 ჰექტარზე უკვე განხორციელდა უფრთო გუთნით ღრმად ხვნა 45-50 სანტიმეტრის სიღრმეზე.

40 ჰექტარი საცდელი ნაკვეთი გამოჰყო აგრეთვე სოფელ ზემო ოსიაურის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელმა.

ფელეტონი

მლოცველები ზნაურიდან

დამზადების სარწმუნებულოს აგენტი ზნაურის რაიონში იასონ კოდოევი ჯერ არავის უნახავს, რომ კრებაზე ან სხდომაზე სიტყვით გამოსულიყოს.

— რა ვქნა, ბევრ რამეზე შემტკივა გული, — არა ერთხელ უთქვამს მას და მკერდზე ხელი დაუდვია, სადაც წესისამებრ მანდატს ინახავს, — მაგრამ ეს ოხერი ენა არ მემორჩილება, ხალხის წინაშე გამოსვლას რომ დავაპირებ, სულ მთლად დავმუნჯდები ხოლმე...

არ ვიცით, რა ღვთაებრივმა ძალამ გამოცვალა ეს ჩუმი და თითქოს უტყვი კაცი... ერთ მშვენიერ დღეს ის არაჩვეულებრივად საზეიმოდ გამოიყურებოდა, თვალებიდან სიხარულის ნაპერწკლები ცვივოდა. ხოლო მკევრმეტყველებას ნუღარ იტყვით — ასეთი ოქროპირი აქ — ყორნისში გაგონებითაც არავის გაუგონია.

აი დგას იასონი სანთლებით გაჩირაღდნებული ეკლესიის ეზოში, ხელში ღვინით სავსე ჭიქა უჭირავს და თავმოყრილ ხალხს რაღაც ფანატიკური აღგზნებით მიმართავს ყოვლისშძლე ღმერთის სიკეთეზე, სულის უკვდავებაზე, მოყვასისადმი სიყვარულზე. ... ო, ო, ეს ნამდვილი წინასწარმეტყველს ჰგავდა და ვის შეეძლო დაეჯერებინა, რომ მათს წინაშე მხოლოდ უზრალო მომაკვდავი და ისიც დამზადების სარწმუნებულოს აგენტი იდგა.

— ნეტარ არს ძალი ღვთისაი, ნეტარ არს ძალი ღვთისაი, — პირჯვარს იწერდნენ ზეციურ ექსტაზში შესული და იასონის ქადაგებით აღფრთოვანებული ღვთისმორწმუნენი. მერე და ვინ გინდოდათ, რომ აქ არ ყოფილიყვნენ. თვალზე რომ სიამის ცრემლს ვერ იკავებდა, ეს გიორგი ჯიოევი გახლდათ — სახელმწიფო დაზღვევის რაიონული განყოფილების მუშაკი; თავი რომ მაღლა აეწია, თითქოს მიწიერ სინამდვილიდან მთლად განშორებულაო, ეს ვახტანის საშუალო სკოლის მასწავლებელი იაკობ ჯიოევი იყო, ხოლო იდუმალ ფიქრებს რომ მისცემოდა, საშუალო სკოლის პედაგოგი ნესტორ სანაკოევი ბრძანდებოდა.

იასონი გრძნობდა, რომ განგებამ ის ამ დღის გმირად აქცია და მეფური ზვიადობით გადახედავდა ხოლმე ამ უცნაურ საკრებულო მრევლს.

მხოლოდ რამდენიმე წუთით იგრძნო იასონმა, რომ ის მდგომარეობის ბატონ-პატრონი ალარ იყო. ეს მაშინ, როცა ოფიციალურ-ამაყ ქალაქელებსაც ეკლესიას და ქალწულურ ბაგეთა მთელი მხურვალებით ეამბორა მის ცივ-ცივ კედლებს.

და კიდევ ერთი სურათი ჩარჩა ყველას მეხსიერებაში: აი ეკლესიის ეზოში ჯიქურ მოაგდო გაქაფული ცხენი ზოოტექნიკოსმა ვერა მაგკოევმა. ნამდვილ ამორძალს ჰგავდა ეს ქალი, რომელსაც სამოც კილომეტრიანი გზა ჰქონდა გავლილი, მაგრამ მაინც პირდაპირ შეუდგა „კარასეთობის“ ყველა წესის აღსრულებას.

დიახ, ეს იყო „კარასეთობა“ — ყოველწლიური რელიგიური ღრეობა, რომელიც ამჯერადაც საკმაოდ მრავალფეროვან სანახაობას წარმოადგენდა. აქ თქვენ ნახავდით ყველა ფერის ტანსაცმელს, სმენას დაატკბობდით ლოლის ბრახუნით, ზურნის გოდებით, გარმონის წიკ-წიკით. თუ მოისურვებდით, კალათებით მოვაჭრე გამყიდველები გამოგიწვდიდნენ ლიმონათს, ტკბილეულს... ჭრელ-ჭრელ ცხვირსახოცებს. (ამაზე ზნაურის რაიონის სამომხმარებლო საზოგადოებას ეზრუნა). მაგრამ რაც მართალია, მართალია: დალოცვილი ღვინო იყო დიდ გასავალში. სვამდნენ ყანწებით, ჯამებით, ჭიქებით, რითაც მოხვდებოდათ. შეზარხოშებული მლოცველები, ასე გასინჯეთ, ფეხსაცმლიდანაც კი წრუპავდნენ, თურმე, „ნუნუას“.

კიდევ კარგი, რომ ამ დღეს ხანჯლის წვერზე არავინ წამოეგო, რაც ასეთ ღრეობას მოსდევს ხოლმე. ყველაფერმა თითქმის მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ რამდენიმე მამლაყინწა ბიჭმა ერთმანეთს ცხვირპირი ჩაამტვრია, ქალიშვილებმა შეყვარებული ვაჟის თაობაზე ერთი წეწვა-გლეჯა ატეხეს, შემთვრალი დარბაისლები კი კილომეტრნეობის ბაღში ბუღრაობდნენ, და მსხმოიარე ვაშლის ტოტებს ჯოჯოხეთური ლაწა-ლუწი გაჰქონდა...

ასე დამთავრდა „კარასეთობა“. დავსძენთ, რომ ჩვენს მიერ ზევით დასახელებული გიორგი ჯიოევი, იაკობ ჯიოევი და ნესტორ სანაკოევი პარტიის წევრები არიან, ხოლო ზამირა თიგიევი და ვერა მაგკოევი — კომკავშირელები.

ვ. ბაიაძე,
ი. თედიაშვილი.

აზერბაიჯანული, სომხური და ქართული საბჭოთა ლიტერატურის საღამო

18 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების ლიტერატურული საღამო.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები: მამედ რაგიმი, რასულ რზა, ოსმან სარიბეი, ნაბი ბაბაევი, მირვარდ დილბაზი, ბახტიარ ვაჰატზადე, ნიგიარ რაშიდბეილი (აზერბაიჯანი), ს. ზორიანი, ნ. ზარიანი, ს. კაპუტიკიანი, ხირარი, ჰ. სალახიანი, ჰ. ოვანესიანი, ვარანინიანი (სომხეთი), ირ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, შ. ამილულაშვილი, ვ. ატრიანი, მ. ბარათაშვილი, ა. ბელიაშვილი, ხ. ბერულავა, ალ. გომბაშვილი, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, კ. კალაძე, გ. ლეონიძე, კ. ლორთქიფანიძე, რ. მარგიანი, ა. მირცხულავა, ი. ნონეშვილი, ბ. ეღენტი, გ. ტაბიძე, ო. ჯარიანი, ს. შაშიაშვილი, ს. ჩიქოვანი, ს. ჭილაია (საქართველო).

სევასტოპოლის 1854-1855 წლების დაცვის ასი წლისთავის გამო

რუსული იარაღის დიდების ძეგლი

სევასტოპოლში ჩამოსული ყოველი ადამიანის ყურადღებას იპყრობს ქალაქში აღმართული თეთრად მბრწყინავი შენობა. ეს 1854-1855 წლების „სევასტოპოლის დაცვის“ პანორამის შენობაა. იგი თითქოს აგვირგვინებს საუკუნეობით სახელგანთქმულ გმირ ქალაქს.

ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოები — პანორამის სურათი, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ დახატა შესანიშნავმა რუსმა მხატვარმა ფ. ა. რუბომ, ასახავდა იმ რუსი მეომრების საგმირო საქმეებს, რომლებიც მამაცურად ებრძოდნენ უცხოელ დამპყრობლებს.

ღვიძლ პირშმოსავით იცავდა საბჭოთა სარდლობა რუსული ბატალური ფერწერის უნიკალურ ნაწარმოებს სევასტოპოლის გმირული დაცვის დღეებში ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მაგრამ ჰიტლერელებმა, რომლებმაც 1942 წლის ივნისში ავიაციის მასობრივი თავდასხმა მოახდინეს პანორამაზე, მოახერხეს დაენგრიათ და ცეცხლი წაეკიდებინათ შენობის მარცხენა ნაწილისათვის. შავი ზღვის მეზღვაურთა ჯგუფი, მიუხედავად ქალაქის ბარბაროსული დაბომბვისა და ცეცხლის დაშენისა, შეიჭრა ალმოდებულ შენობაში. საბჭოთა მეომრებმა დაჭრეს ტილო და ნაწილნაწილ გამოჰქონდათ იგი. გადარჩენილი ნაკუწები ფრთხილად შეახვიეს საბნებსა და კარავ-ლაბადებში და საბრძოლო გემით გაგზავნეს ნოვოროსიისკში, ხოლო იქიდან — ღრმა ზურგში.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო პანორამის აღდგენა. სურათის გადარჩენილი ნაწილები მიიტანეს ტრეტიაკოვის გალერიის სარესტავრაციო სახელოსნოებში. მხატვართა წინაშე იყო არა მხატვრული ტილო, არამედ სხვადასხვა ზომისა და ფორმის ათობით ნაკუწი, დახეული და შემომწვარი კიდეებით, ყუმბარის ნამსხვრევებითა და ცეცხლით დაზიანებული რამდენიმე ათასი ადგილით. 1.610 კვადრატული მეტრი მოხატული ზედაპირიდან გადარჩა მხოლოდ 493 კვადრატული მეტრი.

სახელოსნოში რესტავრატორთა ჯგუფმა, რომელსაც რესტავრაციის ცნობილი ოსტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. დ. კორინი მეთაურობს, აღადგინა პანორამის გადარჩენილი ნაწილი. მუშაობას შეუდგა მხატვართა შემოქმედებითი კოლექტივი. მას სათავეში ჩაუდგა ცნობილი მხატვარი ვ. ნ. იაკოვლევი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ — 1953 წლის ივლისში — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სტალინური პრემიების ლაურეატი პ. პ. სოკოლოვ-სკალია.

მაშინ როცა მოსკოვში სარესტავრაციო და მოსამზადებელი მუშაობა წარმოებდა, სევასტოპოლში დაიწყო შენობის აღდგენა. როცა აქ მშენებლები მოვიდნენ, მათ ნახეს ნანგრევთა გროვა. გადარჩენილ კედელზე მათ წაიკითხეს საბჭოთა ჯარისკაცის ხიშტით ამოფხაჭნილი ამაღელვებელი სტრიქონები:

„მტერმა დაკუწა, დაამახინჯა
შენი მშვენება — მტკიცე ბუნებით.
მაგრამ ჭრილობებს ჩვენ მოგიშუშებთ,
შენ ჩვენი ნებით განიკურნები!“.

1953 წლის დამლევისათვის პანორამის შენობა აღადგინეს მისი წინანდელი არქიტექტურული ფორმებით. არქიტექტორებმა და მშენებლებმა შეიტანეს აგრეთვე მთელი რიგი გაუმჯობესებანი.

როცა შენობა მზად იყო, სევასტოპოლში ჩამოვიდნენ მხატვრები. მათ ჩამოიტანეს პანორამის ესკიზი, რომელიც განსაზღვრავდა თვითონ ტილოზე მუშაობის წესს, და წინა პლანის ესკიზის მაკეტი.

— სევასტოპოლში ჩასვლით, — ამბობს მხატვართა შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელი პ. პ. სოკოლოვ-სკალია, — დაიწყო ძირითადი ეტაპი მუშაობისა პანორამის აღსადგენად. ჩავიტანეთ ტილო, რომელიც სპეციალური დაკვეთით მოქსოვა ლენინგრადის ტელმანის სახელობის ფაბრიკამ. სამხედრო მეზღვაურების დახმარებით 114 მეტრი სიგრძისა და 14 მეტრი სიმაღლის უზარმაზარი ტილო გაჭიმეს დასათვალიერებელ დარბაზში.

მხატვართა ერთი ჯგუფი შეუდგა პირველი ფერის წასმას, მეორე — ეტიუდურ სამუშაოებს, პეიზაჟების ჩანახატებს მალახოვის ყორღანზე. ისინი ეუფლებოდნენ პანორამის შემქმნელის ფ. ა. რუბოს მანერას და, ასე ვთქვათ, მის შემოქმედებითს თავისებურებას. როცა ყოველივე ეს მზად იყო, მხატვრები გადავიდნენ სპეციალურად მოწყობილ მოძრავ ოთხსართულიან კოშკებზე და ახალ ტილოზე დაიწყეს ორიგინალის მსგავსის შექმნა.

...შიდა კიბით მაყურებელი ადის საყურებელ მოედანზე, სადაც მის წინაშე იშლება რუსული ხელოვნების ლაბაზი ქმნილება, რომელიც ასახავს ერთ-ერთ სახელოვან მოვლენას რუსი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიაში. თვალწინ იშლება ალყაშემორტყმული სევასტოპოლის შორეული პერსპექტივა, რომელიც შესანიშნავად აღწერა ლ. ნ. ტოლსტოიმ „სევასტოპოლის მოთხრობებში“.

პანორამა ასახავს სევასტოპოლის 11 თვის დაცვის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო მომენტს, როცა მისმა დამცველებმა მტრისათვის დიდი ზარალით 1855 წლის 6 ივნისს მოიგერიეს ინგლის-საფრანგეთის ჯარების იერიში.

გარე რეიდზე მოჩანს მოწინააღმდეგის ესკადრა, რომელიც სევასტოპოლს ზღვიდან უტევს. მას ნავსადგურში შესასვლელი ჩაუკეტეს ჩაძირულმა გემებმა, რომელთა ანძების წვეროები მოჩანს წყლის ზედაპირზე კონსტანტინოვკის რაველინთან. შიდა რეიდზე მოჩანს რუსეთის გემები „დედოფალი მარიამი“, „ვლადიმირი“, „ხერსონესი“ და სხვები. უფრო მარჯვნივ გამოსახულია ფრანგების იერიში მეორე ბასტიონზე. პანორამის კულმინაციური პუნქტია ხელჩართული ბრძოლა ჟერვეს ბატარეისათვის. ამ ბატარეის უკან, შორს მოჩანს მესამე და მეოთხე ბასტიონები, რომლებზეც ინგლისელებს მიაქვთ იერიში.

სურათზე არის ეპიზოდები, რომლებიც არ იყო წინანდელ პანორამაზე. თვალს ახარებს მხატვართა გაბედულობა, რომლებმაც ხელოვნების ამ ნაწარმოებში შეიტანეს სიახლე, რომელიც არათუ არ ეწინააღმდეგება რუბოს ჩანაფიქრს, არამედ უფრო ღრმად და დამაჯერებლად ასახავს სევასტოპოლის მამაც დამცველთა გმირულ დღეებს. ისარგებლეს რა საბჭოთა ისტორიის მეცნიერების მიღწევებით, მხატვრებმა აღდგენილი პანორამა ისტორიულად უფრო სრულად და ზუსტად გააკეთეს, ვიდრე ფ. ა. რუბომ. კერძოდ, მათ დაზუსტეს მესამე და მეოთხე ბასტიონებზე ბრძოლის ხასიათი.

სამუდამოდ გაითქვა სახელი თავისი გმირობით შავი ზღვის მატროსმა ეგნატე შევჩენკომ. როცა ჩვენი რაზმი მტრის სანგრებში შეიჭრა, გააფთრებული ხელჩართული ბრძოლის დროს შევჩენკომ შეამჩნია, რომ მტრის ჯარისკაცი თოფს უმიზნებდა რაზმის მეთაურს ლეიტენანტ ბირიულევს. შევჩენკო სწრაფად აეფარა წინ ლეიტენანტს. თავდადებული მატროსი დაიღუპა, რომ თავისი მეთაური გადაერჩინა. ხიმამაცე და ბრძოლაში ერთმანეთის მიშველება სევასტოპოლის დამცველთა მთელი სიცოცხლის რკინის კანონი იყო.
ეგნატე შევჩენკოს თავდადება. ვ. მაკოვსკის სურათიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევასტოპოლი, 1954 წ.

დღეს გაიხსნება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა მუხრანის სარწყავი სისტემა

★

დღეს, 17 ოქტომბერს, მოხდება მუხრანის სარწყავი სისტემის გახსნა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რაც კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა იმ დიდი ზრუნვისა, რომელსაც ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ საბჭოთა ადამიანებისადმი.

მუხრანის სარწყავი სისტემა, რომელმაც მცხეთისა და დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებს 12.000 ჰექტარი მაღალმოსავლიანი სარწყავი ფართობები უნდა შესძინოს, რეპუბლიკის ერთ-ერთი დიდი, ჰიდროტექნიკოსთა პრაქტიკის თანამედროვე მიღწევათა მიხედვით მოწყობილი საირიგაციო სისტემაა. მისი მშენებლობა დაწყებულ იქნა 1950 წლის ზაფხულზე, ხოლო წელს ზაფხულზე პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოები უკვე მოთავებული იყო — გაყვანილია მაგისტრალური არხები 45 კილომეტრ საერთო სიგრძეზე, დამთავრებულია ასი სხვადასხვა დანიშნულების ჰიდროტექნიკური ნაგებობის აგება და გაყვანილია განმანაწილებელი ქსელი ველზე პირველი 5 ათასი ჰექტარის მოსარწყავად.

5 ივლისს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს კომისია შეუდგა ამ სარწყავი სისტემის ყველა ნაგებობათა გამოცდას, მაგისტრალურ არხებში არაგვის წყლის საცდელად გაშვებას და პარალელურად სარწყავად გამზადებული ფართობების მორწყვას. მას შემდეგ ეს გამოცდა გრძელდებოდა. გამოირკვა, რომ მთელი სარწყავი სისტემა და მისი ყველა ჰიდროტექნიკური ნაგებობა აგებულია მაღალხარისხოვნად, რომ საკმაოდ შესაძლებელია მთელი სისტემის ექსპლოატაციის დაწყება.

საირიგაციო სამუშაოების შესრულებასთან ერთად მშენებლებს გზადაგზა მოუხდათ ძველთაგანვე დაჭაობებული მთელი რიგი ფართობების ამოშრობა.

მშენებლები, რომლებმაც უკვე შეასრულეს 1.823.000 კუბმეტრი მიწისა და კლდის სამუშაოები, 44.257 კუბმეტრი ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოები, კვლავ განაგრძობენ მუშაობას მუხრანის ვრცელი ველის დანარჩენი 7.000 ჰექტარი ფართობებისათვის სარწყავი ქსელების მოსაწყობად.

მუხრანმშენის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ) — მებეტონე ი. მისირელი, ათისთავი გ. აპრესოვი, მებეტონე ს. ლაშაური, სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი ზ. კაციტაძე, მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ა. გაჩეჩილაძე და მებათქაში ა. ბუჩუკური.

◁ ★ ▷

ოთხი წლის შრომის ჯილდო

ბევრი უძილო ღამე გაუთევიათ მუხრანის ველის სარწყავი სისტემის მშენებლებს ამ ველზე არხების გაყვანისას, ბევრი სიძნელე და დაბრკოლება გადაულახავთ, მაგრამ ახლა მათს სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგან ხედავენ, რომ მათი შრომით გახარებული არიან წყალკნელი და წერეთელი, ახალუბნელი და ძალისელი, მუხრანელი და ნაოზელი კოლმეურნეები, მისაქციელელები, აღდგომიანთკარელები, მცხეთის რაიონის მთელი რიგი სხვა სოფლების მშრომელები. ამის შეგნება ახალი შრომითი თავდადებისათვის აღფრთოვანებს მუხრანმშენის მთელ კოლექტივს. ეს დაუვიწყარი ჯილდოა ჩვენი მშენებელი ენთუზიასტებისათვის. ისინი მრავლად არიან, ყველას დასახელება ძნელია.

ასეთები არიან მუხრანმშენის მოწინავე ადამიანები: ხუროო ვ. სუხიაშვილი, მებეტონეები — გ. კახობერაშვილი, ი. მუხათგვერდელი, ტ. ვეშაპიძე, ი. მუხამგვერდელი, ვ. სარალაშვილი, ა. სონიშვილი, ი. მწითური, ვ. ჭინჭარაშვილი, მეარმატურე ა. ბრაჭული, მექანიზატორები — პ. თამარაშვილი, ნ. იუდიჩი, ი. პუპინინი, ი. კირიჩენკო და სხვები.

მუხრანის სარწყავი სისტემის გახსნისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დღეს მოელოდნენ, როგორც საკუთარი შრომითი ზეიმის დაუვიწყარ თარიღს მშენებელთა ხელმძღვანელი ინჟინერ-ტექნიკოსები. დღეს ისინი ბედნიერებას განიცდიან იმით, რომ საკუთარი თვალით ხედავენ თავიანთი ოთხი წლის დაძაბული შრომის ნაყოფს. მათ მთელი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება მოახმარეს ამ საქმეს, არაფერი დაუშურებიათ იმისათვის, რომ სანიმუშოდ მოეხადათ მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე, საუკეთესოდ აშენებული ჰიდროტექნიკური ნაგებობანი საშვილიშვილო სახსოვრად მიეძღვნათ საკოლმეურნეო სოფლისათვის. დიდი ამაგი დასდეს ამ საერთო-სახალხო საქმეს მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა ა. ოდიშვილმა, სამშენებლო უბნების უფროსებმა შ. ქევხიშვილმა, ი. პაპკოვმა, სამუშაოთა მწარმოებლებმა კ. გვასალიამ, დ. თალაკვაძემ, ზ. კაციტაძემ, ნ. კრაწაშვილმა, ათისთავებმა შ. ბერაიამ, მ. დონღუზაშვილმა, ს. ხაჩოევმა და ბევრმა სხვამ.

მუხრანის ველი, სადაც ახლად გაყვანილმა სარწყავმა სისტემამ 12.000 ჰექტარი უნდა მორწყას, მაღალმოსავლიანი ადგილებისაგან შედგება. ამ ველის საერთო ფართობი 150 კვადრატულ კილომეტრს უდრის. მორწყვა განხორციელებულია ორი მაგისტრალური არხით.

განსაკუთრებით რთული გამოდგა პირველი მაგისტრალური არხისათვის სათავის ნაგებობათა აგება მდ. არაგვზე და შემდეგ არხის გაყვანა, ვინაიდან ტრასი გადიოდა უაღრესად რთულ რელიეფზე. მიუხედავად ტოპოგრაფიული და გეოლოგიური სიძნელეებისა, მშენებლებმა შეძლეს სათავის ნაგებობათა კვანძის მშენებლობის დამთავრება ვადაზე ბევრად ადრე და 1952 წლის გაზაფხულისათვის მდინარე არაგვი უკვე გადაკეტილი იყო უაღრესი სიმტკიცის კაშხალით. არანაკლებ სიძნელეს წარმოადგენდა არხის გაყვანა მთა ადგილებში, სადაც საჭირო გახდა ტრასის პარალელურად გზის გაყვანაც, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საშენი მასალების მიზიდვა სხვადასხვა ნაგებობათა ასაგებად. ეს არის დიუკერები, აკვედუკები, ნიაღვარსაშვებები, ხიდები, გვირაბი და სწრაფდენები, აგრეთვე მუხრანის ველის ერთ-ერთ კუთხეში 1250 ჰექტარის მექანიკური მორწყვისათვის საჭირო ნაგებობა.

5 ივლისს, როდესაც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს კომისიამ დაიწყო სარწყავი სისტემის გამოცდა და პირველად გაეშვით წყალი მთავარ არხში, ახლომახლო სოფლების მთელი მოსახლეობა გამოვიდა ტრასზე და ზეიმით აღნიშნა ეს დიდი მოვლენა. ხალხი ტაშით შეხვდა არხში წყლის გამოჩენას და არაგვის პირველ ტალღას თან მიაცილებდა სიმღერითა და მხიარულებით.

მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებელთა კოლექტივი აღსავსეა სიამაყის გრძნობით იმის გამო, რომ ამ მშენებლობის მაღალხარისხოვანი შესრულებით და სამუშაოთა პროგრამის განაღდებით თავისი წვლილი შეიტანა პარტიისა და მთავრობის დავალების შესრულების, ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფის საქმეში. მშენებლების მტკიცე გადწყვეტილებაა არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, შემდგომში კიდევ მეტი თავდადებით იშრომონ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ნ. გაბუნია,
მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსი.

★

ლაპარაკობენ მშენებლები

სიმონ ფიკლაური, — **მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელი.**

— მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე პირდაპირ კოლმეურნეობიდან მოვედი. მანამდე არც ბულდოზერი მეჭირა, არც ექსკავატორი, არც მიწისსათხრელი სხვა მექანიზმები, ბეტონის კეთებაზეც არაფერი ვიცოდი. რატომღაც დაუჯერებლად მომაჩნდა, რომ ტალახის მსგავსი ნარევიდან სიპ ქვაზე უფრო მკვრივი და მაგარი ნაგებობა გამოდიოდა. ამიტომ მშენებლობაზე მოსვლისთანავე ვითხოვე მებეტონეთა ბრიგადაში გაშვება.

გულდასმით, კარგად შევისწავლე ბეტონის საქმე და ბოლოს ბრიგადირიც გავხდი. დიდად კმაყოფილი ვარ, რომ მთელი ამ სარწყავი სისტემის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში ჩემი და ჩემი ბრიგადის შრომითი წვლილიც შედის. დიდად სასიამოვნო იყო ისიც, რომ ჩვენ მიერ დაბეტონებული განმანაწილებელი არხები კარგად მოპირკეთებული აღმოჩნდა. არხის პროფილის დაბეტონება ჩვენთან 7 სანტიმეტრის სისქის ბეტონის ქერქით ხდება. ეს ისეთი თხელი ქერქია, რომ თუ ხსნარი კარგად არ არის გაკეთებული, ბეტონის ქერქი არხის კედლებზე დასკდება და უკარგისი გახდება.

ამ მხრივ განსაკუთრებით მოსაწონი იყო ჩვენი ბრიგადის წევრების სოლომონ და ვიქტორ ედიშერაშვილების, ი. ჩანადირის და ა. დორეულის მუშაობა. ჩვენი გადაწყვეტილებაა დავრჩეთ მშენებლობაზე და კვლავიც მაღალხარისხოვნად მოვაწყოთ განმანაწილებელი ქსელის დანარჩენი არხების მოპირკეთება.

ზურაბ კაციტაძე, — **მეორე უბნის სამუშაოთა მწარმოებელი.**

— პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე საგზურო ჩამბარეს და სამუშაოდ მუხრანმშენში გამიგზავნეს. ეს მშენებლობა ჩემთვის დიდი გამოცდილების სკოლად იქცა.

მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობა არა მარტო ჩემთვის იყო სკოლა, არამედ სხვებისთვისაც. აქ აღიზარდნენ კვალიფიციურ მშენებლებად მეექსკავატორე მიხეილ ბულაცევი, მებულდოზერე ოთარ შალუაშვილი, მეარმატურე ალექსი ბრაჭული და ბევრი სხვა.

დაუვიწყარი იქნება ჩემთვის ამ მშენებლობაზე გატარებული წლები. აქ მიმიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად.

მუხრანის ველზე ყველა ფართობის მოსარწყავად ჯერ კიდევ მრავალი სამუშაოა შესასრულებელი. შევეცდები ამ სამუშაოთა შესრულებისას პირნათლად მოვიხადო ჩემი მოვალეობა.

ვასტანგ სუხიაშვილი, — **ხუროთა ბრიგადის ხელმძღვანელი.**

— ჰიდროტექნიკურ მშენებლობაზე ხუროს პასუხსაგები როლი ეკუთვნის. მის ფაქიზ, მაღალკვალიფიციურ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ბეტონის სამუშაოთა სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულება. ჩვენი ბრიგადა ამ მხრივ ყოველთვის გამართულად მუშაობდა და ახერხებდა მებეტონეთათვის სამუშაო ფრონტის წინასწარ გამზადებას.

განსაკუთრებული მონდომებით და საქმის ნამდვილი სიყვარულით მუშაობდნენ ბრიგადის წევრები ი. ვარსემაშვილი, ვ. ლობიშვილი, ისაკ და სოლომონ კახობერაშვილები და ი. გელაშვილი. მათ მიერ გაკეთებული ქარგილები ყოველთვის გამოირჩეოდა სიფაქიზითა და სიზუსტით.

შალვა ქევხიშვილი, — **მესამე სამშენებლო უბნის უფროსი.**

— მუხრანის ველზე, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, ამ რვაცხრა საუკუნის წინათ მოწყობილი ყოფილა სარწყავი სისტემა. ამ სისტემის ნაშთი დღესაც არის. მას ხალხი „რუსხმულას“ უწოდებს. ეს ნაშთი ახლაც გაყვანილობის სიზუსტით ჩვენი ინჟინრების, განცვიფრებას იწვევს, რუსხმულა ჩვენმა მშენებლებმა უნარიანად გამოიყენეს. შორეული წინაპრების მიერ გაკეთებულ მიწაყრილზე განმანაწილებელი არხი გავიყვანეთ, ავაგეთ მრავალი ჰიდროტექნიკური ნაგებობა და ამით მნიშვნელოვნად შევამცირეთ მშენებლობის თვითღირებულება.

მარტო ჩვენი უბნის კოლექტივმა რუსხმულას მიდამოებში 900 ჰექტარი მაღალმოსაკლიანი ფართობი შესძინა საკოლმეურნეო სახნავ-სათეს ფონდს. ეს სიამაყის გრძნობით აღავსებს ყოველი მშენებლის გულს.

ჩვენი უბნის კოლექტივი და მისი მოწინავე ადამიანები ტ. ვეშაპიძე, ვ. მუხაშვილი, ს. გაბარაშვილი, ი. ომანაშვილი, ი. ყაზარიანი, შ. ოსეფაშვილი, ს. პაპაშვილი, კ. ბაბოვი და სხვები თავდადებით განაგრძობენ შრომას, რათა უმოკლეს ვადაში დაამთავრონ ყველა ის სამუშაო, რომელიც მათ მინდობილი აქვთ.

წერილები რედაქციის

ჩვენი პრეზიდიუმიდან

ბილეთიანი

მყიდველთა მუდმივი, მყარი კონტინგენტის შექმნა ყოველი სავაჭრო მაღაზიის ჯანსაღი კოლექტივის ზრუნვისა და ღირსების საქმეს წარმოადგენს. ხოლო ეს კონტინგენტი რომ შეიქმნას, მომხმარებელი მაღაზიაში ყოველთვის უნდა პოულობდეს მისთვის საჭირო საქონელს, ამასთან გრძნობდეს, რომ გამყიდველები კულტურულად და პატიოსნად ვაჭრობენ.

სამწუხაროდ, მუშაობის ასე მოწყობა ხშირად არ ხერხდება, რაც როგორც მაღაზიების ხელმძღვანელთა, ისე ზემდგომი სავაჭრო ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობის შედეგია.

სავაჭრო ქსელის მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი ის არის, რომ სუსტად ხდება მომხმარებელთა მოთხოვნილების შესწავლა. ზოგჯერ სავაჭრო ქსელში არ იმოვნება ისეთი პირველი მოთხოვნილების საქონელიც კი, რომლის გამოშვება არც თუ დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მაგალითად, რა შეიძლება იმაზე ადვილი იყოს, ვიდრე თბილისის მაღაზიების მომარაგება ძმრით. ძმარს კი ხშირად ვერ იშოვნით მაღაზიებში.

მომხმარებელთა მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ დღემდე ვერ მოგვარდა სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოთა ურთიერთობა. სავაჭრო ორგანიზაციები ყოველთვის არ უდგენენ საწარმოთა ხელმძღვანელებს მოთხოვნილებას საჭირო ასორტიმენტის საქონელზე, ზოგჯერ კი თვით საწარმოთა ხელმძღვანელები უგულებელყოფენ ამ მოთხოვნილებას. ყველაფერი ეს იწვევს მომხმარებელთა უკმაყოფილებასა და საყვედურებს, რასაც ყველაზე მწვავედ ჩვენ, მაღაზიის მუშაკები, ვგრძნობთ.

ჩვენი მაღაზია დიდი ბრუნვის მქონე მაღაზიათა რიცხვს ეკუთვნის. ეს შემთხვევითი არ არის, იგი დედაქალაქის ცენტრში — საკოლმეურნეო მოედნისა და პუშკინის ქუჩის კუთხეში მდებარეობს. დღის განმავლობაში ასობით მშრომელი შემოდის მაღაზიაში კვების ამა თუ იმ პროდუქტის შესაძენად. მუშაობის გასაადვილებლად და მომხმარებელთა უკეთესი მომსახურების უზრუნველსაყოფად დიდი ბრუნვის მქონე მაღაზიები პირდაპირ არიან მიმაგრებული ნაბეღლავებთან — [illegible]. მაგრამ ეს რატომღაც გამორჩათ მხედველობიდან მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის ხელმძღვანელებს. დიდი ბრუნვის მქონე რამდენიმე მაღაზიას, კერძოდ, № 18, 16 და ჩვენს მაღაზიას, წაართვეს საწარმოდან საქონლის მიღების უფლება. ამას ისიც ემატება, რომ თბილკვებვაჭრობის სავაჭრო განყოფილება საქონელს მაღაზიებს მორის არასწორად ანაწილებს. არავინ იცის, რა ნიშნის მიხედვით, მაგრამ ერთ მაღაზიას გაცილებით მეტ საქონელს აძლევენ, ვიდრე მეორეს, ისე რომ გათვალისწინებული არ არის საქონელბრუნვის შესაძლებლობა.

მუშაობაში ხელს ისიც გვიშლის, რომ მაღაზიას სრულებით არა აქვს პროდუქტების დასაყოფი სათავსოები. ამ საქმეში დახმარება უნდა გაგვიწიონ, როგორც თბილკვებვაჭრობის ხელმძღვანელებმა, ისე კალინინის რაისაბჭოს აღმასკომმა.

ხშირად მაღაზიის მუშაკებიც ცუდად ვმუშაობთ. საქმის მოყვარულ, კულტურულ, პატიოსან დახლის მუშაკთა გვერდით არიან ისეთებიც, რომლებიც საწელს უტეხენ პატიოსან მუშაკებს. ასეთი მუშაკები ჩვენთანაც იყვნენ. ისინი უკვე მოხსნილი არიან სამუშაოდან. თუმცა ამით არ მინდა ვთქვა, თითქოს ჩვენთან ყველაფერი რიგზე იყოს, რომ ჩვენი მაღაზიის ყველა მუშაკი მომხმარებელს ზრდილობიანად, კულტურულად ექცეოდეს, შეგნებული ჰქონდეს თავისი სპატიო მოვალეობა, ყოველდღიურად ზრუნავდეს იმისათვის, რომ გაიზარდოს მომხმარებელთა რიცხვი, რომ მომხმარებელი ყოველთვის კმაყოფილი იყოს მისი მომსახურებით.

ამ ნაკლოვანებებს ჩვენს მუშაობაში საერთო ძალით აღმოვფხვრით. ამასთან საჭირო იქნება, რომ მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინოს ცალკე მაღაზიის მუშაობის პირობები, საქონელბრუნვის შესაძლებლობანი, მისი მომხმარებელთა კონტინგენტი და ისე მოაწყოს საქონლის განაწილება სავაჭრო ქსელში.

პ. მჭედლიშვილი,
მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 10 მაღაზიის დირექტორი.

მნიშვნელოვანი ცდა მედიცინაში

კანის დაავადებათა შორის ერთ-ერთ უმძიმეს დაავადებად პსორიაზი ითვლება. იგი დღემდე ცნობილია, როგორც განუკურნავი სენი.

მედიცინის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე მუშაობდა პსორიაზის წარმომშობი მიზეზების შესწავლასა და მისი მკურნალობის საშუალებათა აღმოჩენაზე, მაგრამ ყველა ძიება და ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ვერ იქნა ძიებული ვერც ამ სენის გამომწვევი მიზეზი და ვერც მისი მკურნალობის ისეთი საშუალება, რომელიც ავადმყოფს რეციდივისაგან უზრუნველყოფდა.

პსორიაზით დაავადებულთ სხვადასხვა პრეპარატებით მკურნალობენ, მაგრამ ეს მკურნალობა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იძლევა ეფექტს და ისიც მეტად მოკლე ხნით.

ამ რამდენიმე წლის წინათ პსორიაზის საწინააღმდეგო პრეპარატის შექმნისათვის მუშაობა დაიწყო ექიმმა პ. ხ. ტუღუშმა. მრავალი ცდისა და დაკვირვების შემდეგ პ. ტუღუშმა შეიმუშავა ახალი პრეპარატი — მალამო, რომლის შესწავლა ხდებოდა მოსკოვის ფარმაკოლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში. ამ მალამოს გამოცდა მოეწყო აგრეთვე მოსკოვის მედსანშრომის საავადმყოფოს კანის სნეულებათა სტაციონარში. გასული წლის 12 ნოემბერს ამ საავადმყოფოს ექიმთა კონფერენციამ პ. ტუღუშის მალამო აღიარა პსორიაზის მკურნალობის საუკეთესო საშუალებად.

მიმდინარე წლის იანვარში სსრ კავშირის ფარმაკოკომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომ ტუღუშის მალამოთი მკურნალობის საბოლოო ცდები მოეწყოს მოსკოვში — კანისა და ვენერიულ დაავადებათა საკავშირო საკვლევ ინსტიტუტში და თბილისში — კანის დაავადებათა საავადმყოფოში. აპრილში ფარმაკოკომიტეტმა უკვე დაამტკიცა ექიმ ტუღუშის მალამოს მომზადების ინსტრუქცია და თვით მალამოს მისცა სახელწოდება „ტპხ“ (ავტორის ინიციალების).

ექიმ ტუღუშის მალამოთი მკურნალობის პირველი შედეგები კარგია. პსორიაზით დაავადებული რამდენიმე ავადმყოფი უკვე განიკურნა. მათ შორის არიან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ცისანა გოორგის ასული ლომსაძე, რომელიც ოთხი წლის მანძილზე იყო პსორიაზით დაავადებული და ტუღუშის მალამოს მიღებამდე მკურნალობდა მოსკოვშიც, მაგრამ უშედეგოდ. განიკურნენ 9 წლის ავადმყოფი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი თამარ იოსების-ძე ტალახაძე, თბილისის მცხოვრებნი: 18 წლის ავადმყოფი თამარ პეტრეს ასული ზანდუკელი, 27 წლის ავადმყოფი მიხეილ კონსტანტინეს-ძე მებონია, დავით დომენტის-ძე კუჭაიძე, ბათუმელი სამსონ პავლეს-ძე ყუფარაძე და სხვები.

როგორც მკურნალობის პირველი შედეგები მოწმობს, ექიმ ტუღუშის გამოგონება ფრიად მნიშვნელოვანი სიტყვაა მედიცინაში. ამ გამოგონების პრაქტიკაში საბოლოოდ დანერგვისათვის პ. ტუღუშს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და ექიმთა საზოგადოებრიობის მხარდაჭერა და დახმარება სჭირდება. ეს კარგად დაწყებული საქმე ფართო მეცნიერულ საფუძველზე უნდა იქნას დამუშავებული და საბოლოოდ უნდა დადგინდეს ამ მძიმე სენის მკურნალობის უნივერსალური მეთოდი.

შ. მეგრელიშვილი.

ერთი პასუხის გამო

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდონ მშრომელთა საჩივრებს, სიგნალებსა და განცხადებებს, დაუყოვნებლივ შეისწავლონ მათი საქმიანი შენიშვნები და სათანადო დასკვნები გააკეთონ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე როდი ხდება. ადგილობრივი პარტიული ან საბჭოთა ორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი მშრომელთა განცხადებებს უსულგულოდ ეკიდება, ვერ ხედავს, რომ სიგნალის, საჩივრის უკან დგას ცოცხალი საბჭოთა ადამიანი. აი ფაქტიც.

ჯერ კიდევ გასულ წელს რედაქციამ მიიღო მოქალაქე მ. ღოღელიანის განცხადება. ის გულისტკივილით გვაცნობებდა, რომ „საქდასახლებმშენის“ სისტემაში, სადაც იგი მუშაობდა, კუთვნილი ხელფასი არ მისცეს, მის საჩივრებს უსულგულოდ ეკიდებიან, ყურს არ უგდებენ.

მოქალაქე მ. ღოღელიანის განცხადებასთან დაკავშირებით „საქდასახლებმშენის“ ტრესტის მმართველმა ამხ. გ. ქარჩავამ მიმდინარე წლის 18 იანვარს გვაცნობა:

„მოქ. მ. ი. ღოღელიანის განცხადების შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ დასახლებმშენის მარნეულის კანტორას ღოღელიანის სახელზე დარიცხული აქვს გასული წლის ნამუშევარი 1.078 მანეთის რაოდენობით...

წინადადება მიეცა მარნეულის კანტორას აღნიშნული თანხა გადუგზავნის მოქ. ღოღელიანს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.

რედაქციამ ტრესტის ხელმძღვანელის ასეთ პასუხს დაუჯერა, იგივე აცნობა მოქალაქე მ. ღოღელიანს. მაგრამ მოქალაქე ღოღელიანი კვლავ გვწერს, თქვენს მიერ გადმოგზავნილი ცნობის გარდა ჯერ არაფერი მიმიღიაო.

საინტერესოა, რათ დასჭირდა არასწორი პასუხის გამოგზავნა „საქდასახლებმშენის“ ტრესტის მმართველს ამხ. გ. ქარჩავას?

განა მარტო მიმართვაზე ხელის მოწერა კმარა?

ამ ერთი უპასუხისმგებლო პასუხის ისტორია მეტად ჩამაფიქრებელია. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მეტი გულისხმიერებით, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მშრომელთა სიგნალებს.





მუხრანის ველის სარწყავი სისტემის სხვადასხვა უბნებზე. (მარცხნიდან მარჯვნივ) — მაგისტრალური არხი ერთ-ერთ უბანზე; კაშხალის ფართა სამართავი კოშკი; მისაქციელის სწრაფდენი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გაერთიანებული ეროების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესია

იურიდიულ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი. (საკუთარი). გუშინ გენერალური ასამბლეის იურიდიული კომიტეტი შეუდგა აგრესიის ცნების განსაზღვრის საკითხის განხილვას. ეს საკითხი, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიის განსახილველად შეიტანა ჯერ კიდევ 1950 წელს. ამჟამად იურიდიულმა კომიტეტმა უნდა განიხილოს მოსსენება სპეციალური ქვეკომიტეტისა, რომელიც გენერალური ასამბლეის VII სესიის გადაწყვეტილებით შეიქმნა აგრესიის ცნების განსაზღვრის საკითხის წინასწარი შესწავლისათვის.

15 სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან შემდგარი ხსენებული სპეციალური ქვეკომიტეტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კომიტეტის უმრავლესობას, მათ შორის სსრ კავშირის, საფრანგეთის, პოლონეთის, სირიისა და სხვა ქვეყნების დელეგაციებს, მიაჩნიათ, რომ აგრესიის განსაზღვრა შესაძლებელი და სასურველია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად და რომ იგი „შესაძლო აგრესორს წაართმევს წარმატების რწმენას, სეროზული გაფრთხილება იქნება მისთვის“ და შესაძლებელს გახდის „თავიდან ავიშოროთ ფაქტიური გადაწყვეტილებანი იმ შემთხვევებში, როცა საჭირო იქნება აგრესორის განსაზღვრა“. მოხსენებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ კომიტეტში წარმოდგენილი დელეგაციების უმცირესობა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურობით ილაშქრებდა საერთოდ აგრესიის ცნების განსაზღვრის შემუშავების წინააღმდეგ.

იურიდიული კომიტეტის სხდომაზე გამოსულმა სსრ კავშირის წარმომადგენელმა პ. დ. მოროზოვმა აღნიშნა, რომ აგრესიის განსაზღვრისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს შეიარაღებული თავდასხმის, როგორც აგრესიის ყველაზე საშიში ფორმის, ცნებას. აგრესიის ასეთმა ფორმამ შეიძლება გამოიწვიოს მილიონობით ადამიანის დაღუპვა და ადამიანთა მრავალი თაობის ბეჯითი შრომით შექმნილ მატერიალურ და კულტურულ ღირებულებათა მოსპობა.

შეიარაღებული თავდასხმის ცნების საბჭოთა განმარტების ძირითადი დებულება მეტად სადა და ნათელია.

ყოველი სახელმწიფო, რომელიც ყოველგვარი საბაბით და ყოველგვარი მოტივით პირველი იკისრებს ომის განაღების ინიციატივას, უნდა გამოცხადდეს აგრესორად აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ამის შესაბამისად, სსრ კავშირის დელეგაცია მოითხოვს — ასამბლეამ გამოაცხადოს, რომ „საერთაშორისო კონფლიქტში თავდასხმელად აღიარებულ იქნება სახელმწიფო, რომელიც პირველი მიმართავს ერთ-ერთ შემდეგ მოქმედებას:

a) რომელიც ომს გამოუცხადებს მეორე სახელმწიფოს;

b) რომლის შეიარაღებული ძალები, თუნდაც ომის გამოუცხადებლად, შეიჭრებიან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

c) რომლის სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ძალები ბომბავენ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიას, ან შეგნებულად მიაქვთ იერიში ამ უკანასკნელის გემებზე, ან საჰაერო ხომალდებზე;

d) რომელიც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებს გადასხამს ან შეიყვანს მეორე სახელმწიფოს საზღვრებში უკანასკნელის მთავრობის ნებადაურთველად, ანდა დაარღვევს ასეთი ნებართვის პირობებს, კერძოდ, მათი ყოფნის დროის ან რაიონის გაფართოების მხრივ;

e) რომელიც დაიწყებს მეორე სახელმწიფოს ნაპირებისა თუ ნავსადგურების საზღვაო ბლოკადას;

f) დახმარებას გაუწევს შეიარაღებულ ბანდებს, რომლებიც მის ტერიტორიაზე შეიჭრნება და რომლებიც შეიჭრებიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ანდა უარს იტყვის, მიუხედავად იმ სახელმწიფოს მოთხოვნისა, რომელმაც შეჭრა განიცადა, თავის საკუთარ ტერიტორიაზე მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ღონისძიება, რათა დასახელებულ ბანდებს არ გაუწიოს არავითარი დახმარება ან მფარველობა“.

აგრესიის განსაზღვრის რული და მნიშვნელობა, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს, თუ განსაკუთრებით მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენს დროშიც ცოტას როდი ცდილობენ სხვადასხვა აგრესიულ დაჯგუფებათა შექმნა წარმოგვიდგინონ თავდაცვით კავშირებად.

მოქმედებს რა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებისათვის, საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს, მტკიცედ მოითხოვს სერიოზულ და რადიკალურ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას, რათა ომმოიფხვრას ახალი მსოფლიო ომის საფრთხე და ამრიგად თავიდან აცილებულ იქნას ახალი აუარაცხელი უბედურება და მილიონობით ადამიანის დაღუპვა. ეს ამიტომ საბჭოთა კავშირი, კერძოდ, მტკიცედ მოითხოვს უსწრაფესად დამთავრდეს მუშაობა აგრესიის ცნების განსაზღვრისათვის.

გენერალური ასამბლეის წინანდელ სესიებზე დისკუსიის მსვლელობაში აზიის, აფრიკა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მთელი რიგი დელეგაციები მოითხოვდნენ, რომ აგრესიის ცნების განსაზღვრაში შეტანილი ყოფილიყო არა მარტო შეიარაღებული თავდასხმის განსაზღვრა, არამედ აგრესიის არაპირდაპირი, ეკონომიური და იდეოლოგიური აგრესიის ცნების განსაზღვრა. ამ სურვილის შესაბამისად შევსებულ იქნა აგრესიის საბჭოთა განსაზღვრა.

შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა თქვა, რომ გენერალური ასამბლეის VII და VIII სესიებზე აგრესიის განსაზღვრის განხილვისას აღნიშნავდნენ, რომ, თუმცა საბჭოთა განსაზღვრაში ჩამოთვლილი მოქმედებანი უეჭველად წარმოადგენენ აგრესიის აქტებს, სასურველი არ იქნებოდა ასეთი ჩამოთვლა გაგვეხილა, როგორც ამომწურავი, რადგანდაც ეს შექმნიდა სიძნელეებს იმ შემთხვევაში, თუ აგრესორი დაიწყებდა მოქმედებას ისეთი მეთოდებით, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელი აღმოჩნდა განსაზღვრის მომზადების მომენტში.

გათვალისწინებულ იქნა რა ეს შენიშვნები განსაზღვრაში, რომელიც სსრ კავშირმა 1953 წელს წარადგინა, შეტანილ იქნა პუნქტი, რომლის თანახმად შეიძლება აგრესიად მივიჩნიოთ სახელმწიფოთა სხვა მოქმედებაც, გარდა განსაზღვრაში ჩამოთვლილისა, რომლებსაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ცნობს თავდასხმად ან ეკონომიური, იდეოლოგიური თუ არაპირდაპირი აგრესიის აქტად.

სსრ კავშირის დელეგაციას იმედი აქვს, თქვა დასასრულ პ. დ. მოროზოვმა, რომ მის წინადადებებს აგრესიის ცნების განსაზღვრის საკითხზე მხარს დაუჭერს ყველა სხვა დელეგაცია, რადგან ეს განსაზღვრა შეეფერება ყველა ხალხის საარსებო ინტერესებს, და თუ მათ მოიწონებს გენერალური ასამბლეა, ეს ხელს შეუწყობს მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცებას.

გუშინდელ სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე პანამისა და კუბის წარმომადგენლები, რომლებმაც პრინციპულად მხარი დაუჭირეს იმას, რომ საჭიროა აგრესიის განსაზღვრა მშვიდობის საქმის უზრუნველსაყოფად.

კომიტეტი განაგრძობს ამ საკითხის განხილვას.

ინფლაციის ზრდა საფრანგეთში

პარიზი, 15 ოქტომბერი. (საკუთარი). საფრანგეთის ბანკმა გამოაქვეყნა უკანასკნელი ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ საფრანგეთში კვლავ იზრდება ინფლაცია. ოქტომბრის პირველი კვირის განმავლობაში გამოშვებული ქაღალდის ფულის რაოდენობა გაიზარდა კიდევ 10.730 მილიონი ფრანკით და, ამრიგად, მიაღწია ახალ სარეკორდო ციფრს — 2.454.526 მილიონ ფრანკს.

არჩევნების წინ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 15 ოქტომბერი. (საკუთარი). 1954 წლის 17 ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოეწყობა სახალხო პალატისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები. ამ ღონისძიებისადმი ადამიანების აქტიურად ემზადება რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა.

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით ოდერის ფრანკფურტისა და კოტბუსის ოლქების 34 თვალსაჩინო გერმანელმა მეცნიერმა, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 193 საეკლესიო მოღვაწემ გააკეთეს განცხადება, რომელშიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს მოუწოდეს ერთსულოვნად მისცენ ხმა ეროვნული ფრონტის კანდიდატებს.

ქალაქ მაგდებურგის კ. ლიბკნეხტის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა „აქტივისტის დღეს“. მიტინგს დაესწრო 11 ათასი მშრომელი. შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა. მან ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებსაც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მიაღწია რესპუბლიკის არსებობის მანძილზე.

მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც შეკრებილებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისინი ხმას მისცემენ მშვიდობის კანდიდატებს.

მრავალთასიანი მიტინგი გაიმართა აგრეთვე ბელენის ო. გროტეოლის სახელობის კომბინატში. მიტინგს დაესწრო პოლონელ მუშათა დელეგაცია. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა. შეეხო რა დასავლეთ გერმანიის ახლანდელ ვითარებას, ოტო გროტეოლმა აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ ბონის ხელისუფლებმა უარი თქვეს სრულიად გერმანიის მოლაპარაკების მოწყობაზე, აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გერმანელთა დაახლოება გზას იკაფავს. მარტო ამა წლის პირველი რვა თვის მანძილზე, აღნიშნა გროტეოლმა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დელეგაციების შემადგენლობაში იყო დასავლეთ გერმანიის 22 ათასზე მეტი მშრომელი. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა დიდ მიღწევებში.

შეეხო რა ლონდონში მიღებულ გადაწყვეტილებას დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ, ო. გროტეოლმა განაცხადა: აღმოსავლეთი და დასავლეთი გერმანიის გერმანელებს არა სურთ ასეთი ცხრამსხრივი მოლაპარაკება. ჩვენთვის თქვა მან, აუცილებელია ოთხი ხელმწიფის კონფერენცია. ამ კონფერენციამ, ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება ერთადერთ საკითხზე, და ეს საკითხია არა სამხედრო ხელშეკრულების დადება და არა რემილიტარიზაცია, არამედ საზავო ხელშეკრულების დადება. ამ საზავო ხელშეკრულებისათვის ვიბრძოლებთ მანამდე, ვიდრე არ მივაღწევთ მას.

გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ!

საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს ღია წერილი მენდეს-ფრანსისადმი

პარიზი, 15 ოქტომბერი. (საკუთარი). საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივმა კომისიამ საფრანგეთის მთავრობის მეთაურს მენდეს-ფრანსს გაუგზავნა ღია წერილი, რომელშიც ნათქვამია:

ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ თქვენ უფლება მიმართავდით მოწოდებით საზოგადოებრივ აზრს, ესწრაფოდით მშვიდობას და დიდი ხნის განმავლობაში შეგნებული გქონდათ, რომ საჭიროა შეწყდეს ომი ინდოჩინეთში. საზოგადოებრივმა აზრმა მხარი დაუჭირა თქვენს მოღვაწეობას ყველის თანხმობაზე. იგი სიხარულით შეხვდა ეროვნული კრების გადაწყვეტილებას ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ხელშეკრულების უარყოფის შესახებ. მაგრამ თქვენმა პოზიციამ ლონდონის თანხმობაზე დიდად გაგვიცრუა იმედი.

ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებაში ფრანგთა უმრავლესობამ დაგმო, უწონარეს ყოვლისა, გერმანიის შეიარაღება. ამ შეიარაღებას, მაგრამ სხვა ფორმით, გერმანია აღწევს ლონდონის შეთანხმებებით.

დიდი ბრიტანეთის ილუზორული გარანტიებისა და უფრო მოჩვენებითი, ვიდრე რეალური ვალდებულებების სამგაეროდ თქვენ დათანხმდით გერმანიის არმიისა და საჰაერო ფლოტის აღდგენაზე, გერმანიის გენერალური შტაბისა და რაიონის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის აღდგენაზე. ლონდონის შეთანხმებანი გამოიწვევდნენ ისეთსავე შედეგს, როგორსაც ევროპის თავდაცვითი გაერთიანება: გერმანიის შეიარაღებას, გერმანიისა და ევროპის გათიშვის გაღრმავებას, გამალებული შეიარაღების გაძლიერებას ფრანგთა ცხოვრების დონისათვის მისი დამღუპველი ეკონომიური შედეგებით, ომის საფრთხის გაძლიერებას.

ისევე, როგორც თქვენი წინამორბედნი, თქვენ პარლამენტში ქადაგებდით, რომ გერმანიის შეიარაღება გარდუვალია. ეს არგუმენტი ვერ არწმუნებს საზოგადოებრივ აზრს.

მან იცის, რომ შეიქმნა და სულ უფრო ნათლად ისახება პერსპექტივები, რომლებიც ხელს უწყობენ მოლაპარაკებას საყოველთაო განიარაღებისა და გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

ამ შეშფოთების გრძნობის შესანელებლად, რომელსაც ყველგან იჩენენ, თქვენ განაცხადეთ, რომ ამავე დროს ეცდებით შეასრულოთ ლონდონის შეთანხმებანი და დაიწყოთ მოლაპარაკება აღმოსავლეთთან. საზოგადოებრივ აზრმა იცის, რომ არ შეიძლება საყოველთაო განიარაღების მიღწევა გერმანიის შეიარაღებით. მან იცის, რომ ლონდონის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ საფრანგეთი, რომელიც დასავლეთ გერმანიის მოკავშირეად გახდებოდა, ვალდებული იქნებოდა მხარი დაეჭირა გერმანიის გეგმებისათვის ევროპაში და რომ საფრანგეთის მოქმედების თავისუფლება შეზღუდული იქნებოდა. საზოგადოებრივ აზრს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ლონდონის შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ კამათის გამართვამდე მთავრობამ, როგორც ამას მოითხოვენ ყველა პოლიტიკური პარტიის მოღვაწეები, გადადგას აუცილებელი ნაბიჯები, რათა ოთხ საფრანგეთის შორის დადგეს შეთანხმებანი გერმანიის პრობლემისა და განიარაღების შესახებ. ამ ორ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხში საფრანგეთის ინტერესები ემთხვევა მშვიდობის ინტერესებს.

ბ-ნო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო, გზას, რომელსაც თქვენ ლონდონში დაადექით, ჩვენი ქვეყანა სერიოზული საფრთხისაკენ მიჰყავს.

საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგობას გაუწევს გერმანიის შეიარაღებას. იგი გაგიცხადებთ, რომ უგუნურება იქნებოდა იარაღი მიგვეცა გერმანელი მილიტარისტებისათვის. იგი ჰამარავს თავის წარმომადგენლებს, თავის დეპუტატებს. იგი სულ უფრო მტკიცედ გამოიჩენს თავის ნებას, მას სურს საფრანგეთის უშიშროება, მისი დამოუკიდებლობა, ევროპის ყველა ქვეყნის უშიშროება, განიარაღება და მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

ეს დიდი ნაბიჯი გამოსტაულ იქნება, კერძოდ, 31 ოქტომბერს მშვიდობისათვის ბრძოლის ეროვნულ დღეს.

მშვიდობის ეროვნული საბჭო, რომლის ინიციატივით ეწყობოდა კამპანია მსხობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის, განიარაღებისათვის, მშვიდობისათვის ინდოჩინეთში და რომელიც თავიდანვე მტკიცედ ილაშქრებდა გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა ყოფილიყო იგი, და მშვიდობიანი მოლაპარაკებით გერმანიის პრობლემის გადაწყვეტისათვის, — დარწმუნებულია, რომ საზოგადოებრივი აზრი გაიგებს მის მოწოდებას.

სამშენებლო გამოფენა თბილისში



თბილისში მშენებლობის საკითხების განსახილველად მშენებელთა სამეცნიერო-ტექნიკური თათბირის მოწვევასთან დაკავშირებით დღეს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნება დიდი სამშენებლო გამოფენა, რომელიც მოაწყეს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა არქიტექტურის საქმეთა სამმართველომ.

გამოფენაზე წარმოდგენილი მრავალფეროვანი ექსპონატები ასახავენ სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციების მრავალი წლის შრომის მიღწევებსა და გამოცდილებას, ჩქაროსნული მშენებლობის გამოყენების შედეგებს.

გამოფენაში მონაწილეობს რესპუბლიკის ოცამდე სამშენებლო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაცია: ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი, საქმშენი, თბილისმშენი, საქართველოს მიდროენერგმშენი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტი და ა. შ.

წარმოდგენილ ექსპონატებს შორის არის სამშენებლო მექანიზმები, მოსაპირკეთებელი და საშენ მასალათა ნიმუშები, ასაწყობი კონსტრუქციები და დეტალები, ცალკეულ ნაგებობათა მთელი ფრაგმენტები, სანიტარული და ტექნიკური მოწყობილობის ნიმუშები, ასაწყობი ბეტონის ნაკეთობანი და სხვ.

ყურადღებას იქცევს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის და საქმშენის სტენდებზე წარმოდგენილი მსხვილი ბლოკები და რკინაბეტონის კონსტრუქციები და ინჟინერ ვ. მიქაძის სისტემის აწმენ-ხარაჩო, რომელსაც იყენებენ შენობის ფასადის შელესვისა და შეღებვისას. ხარაჩოს სამუშაო სიმაღლე 14 მეტრს აღემატება, მაგრამ შეიძლება მისი ამაღლება ნებისმიერად.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამშენებლო ტექნიკას. აქ არის სხვადასხვა ტიპის ჩარხები, რომლებიც განკუთვნილია მოსაპირკეთებელი მასალის დასამუშავებლად, მრავალი დანიშნულების სამშენებლო მექანიზმები, გაუმჯობესებული სამარჯვები. ფოტოსტენდზე ნაჩვენებია ინდუსტრიული მეთოდით ჩქაროსნული მშენებლობის ცალკეული პროცესები.

დღეს გამოფენის კარი ფართოდ გაიღება მნახველებისათვის. ათასობით მშენებელი გაეცნობა აქ წარმოდგენილ ექსპონატებს და მოწონავე მშენებელთა ძვირფას გამოცდილებას.

სურათზე: ინჟინერ ვ. მიქაძის სისტემის აწმენ-ხარაჩო.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად

მოსკოვი. 16 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა მეორე ნახევარფინალური შეჯიბრება სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად. თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. 90 წუთიანი ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ 0:0. დამატებითს დროში კიეველებმა გაიტანეს ერთი ბურთი და მოიგეს შეჯვდრა.

ამრიგად, კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ფინალში გავიდა.

ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც 20 ოქტომბერს გაიმართება მოსკოვში, ერთმანეთს შეხვდებიან კიევის „დინამოსა“ და ერევნის „სპარტაკის“ გუნდები.

ორშაბათს, 18 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე რკინიგზელთა სახლში (პლეხანოვის პროსპექტი № 127) შედგება თბილისის საქალაქო სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი, მიძღვნილი საბინაო სამოქალაქო მშენებლობისა და საშენ მასალათა საკითხებისადმი.

შესვლა თავისუფალია.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

ДЕСЕ ТБИЛИСИС ТЕАТРЕБСА ДА КИНОЕБСА

რუსთაველის სახელობის — სამშობლო (დილა-საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — გაზაფხულის დილა (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — კოკეტი (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — საცდელი მინდორი (დილას), მშობლიური ქვეყანა (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (აბონემენტი № 18, 12 ხ. და აბონემენტი № 33, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ძველ ინგლისში (11 ს.), მეცხრე „ა“ კლასი (5 ს.), **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები (დილას), მათი ოცნება (საღამოს).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — მაწანწალა (II სერია), **კომკავშირელი (საზამთრო), ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — გრიგალი, **კოლხიდა (საზამთრო და საზაფხულო), კიროვის სახელობის პარკი** მაწანწალა (I სერია), **26 კომისრის სახელობის (საზაფხულო)** — 15 წლის კაპიტანი, **კოლმეურნე, გორკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — ორი გოჯი მიწა.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე
რსფსრ დამსახურებული არტისტის
იური დურუმვის
გასტროლები
(ცხოველთა შერეული ჯგუფი)
დიდი საცირკო პროგრამა
მონაწილეობენ
საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები.

კვირას, 17 ოქტომბერს
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
საღამოს წარმოდგენების დასაწყისი 8 ს. 30 წ.
დღის წარმოდგენების დასაწყისი 12 ს. და 3 ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები
კოლექტიურ დასწრებაზე.

მოქალაქე **სერგო დანიელის-ძე ბადალიანმა**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, ბრძოლის ქ. № 53, აღძრა საქმე ქ. სტალინირში მცხოვრებ **რუზანა გიორგის ასულ ოთინაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ჯულიეტა, ვასილ, მურთაზ, დები ალექსანდრა, ფოტინე, თამარ, ნინო, ერმონია, ძმა ვიქტორ, ბიძები ვიქტორ, ლავრენტი ერძეები, სიძეები მ. ჯოხაძე, ბ. მეტრეველი, ვ. ციხისელი, კ. გოგლიძე იუწყებიან **ალექსანდრე ვასილის-ძე მაჩაიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-X, 7 ს. გამოსვენება 19-X, 4 ს. სვანეთის ქ. № 37.

მეუღლე ნინო, შვილები ტატიანა, მიხეილ, ლამარა მეუღლეთ შ. ბაქრაძეთ, ძმა გიორგი, დები სონია, ნადია ხურცილავები, ლეონინა ვაშაკიძე ოჯახებით, შვილიშვილები დავით, თამაზ ლეკავები იუწყებიან **ვლადიმერ მიხეილის-ძე სანაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის რ.).

მეუღლე ანტონინა, შვილი ეთერ, დები თამარ, ნუნუ, ძმები ირაკლი, ვახტანგ, რძლები ელენე, თამარ ბენდუქიძეები, სიძეები შ. ცირდილაძე, ა. ჩიქოვანი, ს. ჭარელაშვილი ოჯახებით იუწყებიან **გრიგოლ სპირიდონის-ძე ბენდუქიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-X, 8 ს. გამოსვენება 19-X, 5 ს. ბორჯომის ქ. № 16.

შვილები მერი, დიდიმ ჭოტუები, რძალი ლეილა სტურუა, სიძე ლევთერ ჯანჯღავა, შვილიშვილები რუსუდან, ნანი, მარინე იუწყებიან **ვარდო კონსტანტინეს ასულ ეგანიჭოტუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-X, 5 ს. ქ. ფოთში. გამოსვენება ბინიდან, ჯუღაშვილის ქ. № 30.

მეუღლე მარიამ, შვილები სიმონ, ეფემია, მარგალიტა, რძალი ეთერ ბარნაბიშვილები, სიძე ვ. ელისაბედაშვილი, და ვერა ბარნაბიშვილი, დისწული ეთერ თაბუკაშვილი იუწყებიან **ლავრენტი სიმონის-ძე ბარნაბიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-X, 4 ს. სოფელ ბარნაბიანთკარში (ქასპის რაიონი).

შვილები მოსე, იოსებ, ანეტა, ნინო, რძლები ევა, ეკატერინე, თამარ, სიძეები დიომიდე ახვლედიანი, ლავრო ჭელიძე და შვილიშვილები იუწყებიან **ოლღა ლუკას ასულ ეგანოიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-X დაბა ხარაგოულში.

რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობა ჩინეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკებში

(ცნობა)

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის მკაფიო გამოხატულებაა ამას წინათ გამოქვეყნებული ერთობლივი კომუნიკე ეკონომიური და კულტურული ურთიერთდახმარების, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისა და ახალი სარკინიგზო ხაზების მშენებლობის შესახებ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი უდიდეს დახმარებას უწევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მზარდ ეკონომიკას. 1953 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეუდგა სამეურნეო მშენებლობის პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას, რომლის ცენტრალური ამოცანაა მძიმე მრეწველობის შექმნა. საბჭოთა კავშირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დახმარებას უწევს 141 საწარმოს მშენებლობაში. ახალი შეთანხმება ითვალისწინებს დახმარებას დამატებით 15 სამრეწველო საწარმოს მშენებლობაში. ასეთი გრანდიოზული მშენებლობა ითვალისწინებს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას, ტექნიკური დოკუმენტაციის ურთიერთგადაცემას და სხვ. მჭიდრო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის საწინდარია აგრეთვე ახალი სამომსახლო, განსაკუთრებით სარკინიგზო, გზების მშენებლობა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რკინიგზების სიგრძე 29.000 კილომეტრს უდრის და არათანაბრად არის განლაგებული. მაგალითად, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში (დუმბეი) თავმოყრილია 12.000 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა და ყოველ ას კვადრატულ კილომეტრ ფართობზე ერთი კილომეტრი რკინიგზა მოდის. რკინიგზებით კარგად არის უზრუნველყოფილი ზღვისპირა პროვინციები (აღმოსავლეთი, ცენტრალური და ჩრდილოეთი ჩინეთი) და კუნძული ტაივანი. სამაგიეროდ ჩინეთის ტერიტორიის ნახევარზე მეტი თითქმის სრულიად მოკლებულია რკინიგზებს, მათ შორის დასავლეთი (ტიბეტი, სიკანი, იუნანი) და ჩრდილო-დასავლეთი ჩინეთი (სინძიანი, ცინხაი, ნინსია). კიდევ მეტი, დასავლეთის უზარმაზარ ტერიტორიებზე ძლიერ ცოტაა კეთილმოწყობილი საავტომობილო გზებიც.

ჩინეთის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ახალი გზების მშენებლობას, განსაკუთრებით ტიბეტსა და სინძიანში. ეს უკანასკნელი ჩინეთის ყველაზე შორეულ მხარედ ითვლება, ამასთანავე სინძიანისაკენ გზების მშენებლობას აძნელებს აგრეთვე დიდი და ძნელადსავალი უწყლო გობისა და ალაშანის უდაბნოები. ამიტომ საკუთრივ ჩინეთთან სიშორისა და ძნელადსავალი უდაბნოების გამო სინძიანი ეკონომიურად შუა აზიასთან უფრო იყო დაკავშირებული. ამჟამად არსებობს დიდი საავტომობილო მაგისტრალი ალმა-ატა—ურუმჩი—ლანჯოუ—პეკინი, მაგრამ ეს გზა ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მზარდ ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას. ამიტომ ახალი შეთანხმება ითვალისწინებს ჩინეთში უდიდესი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას მარშრუტით ლანჯოუ—ურუმჩი—ალმა-ატა.

ქ. ლანჯოუ (ანუ გაოლანი) ჰანსუს პროვინციის ცენტრია და წარმოადგენს რკინიგზის საბოლოო პუნქტს დასავლეთ ჩინეთში. აქედან რკინიგზის ხაზი მიემართება აღმოსავლეთით ქ. კაიფინამდე და შემდეგ ხანკოუ — კანტონსა (სამხრეთით) და პეკინ—ტიანძინისაკენ (ჩრდილოეთით).

გარდა ამისა, ქ. ლანჯოუ (230.000 მცხოვრებით) წარმოადგენს დასავლეთ ჩინეთის მსხვილ სატრანსპორტო და სავაჭრო ცენტრს. იგი მდებარეობს ერთი მხრივ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ტიბეტის, მეორე მხრივ დასავლეთი და აღმოსავლეთი ჩინეთის შემაერთებელ გზაჯვარედინზე. უკვე დაწყებულია რკინიგზის ხაზის მშენებლობა ლანჯოუდან ჩრდილო-დასავლეთით (მარშრუტით: გაოტა—ანსიუეიმინი—შინშინსია—ხამი), რომელიც ახალი შეთანხმებით მიყვანილ უნდა იქნას საბჭოთა კავშირის საზღვრამდე. რკინიგზის ხაზი გაივლის სინძიანის ავტონომიური ოლქის ცენტრზე ურუმჩიზე (დიხუა) და ეს უკანასკნელი გადაიქცევა უდიდეს სამრეწველო და სატრანსპორტო კვანძად მთელ მაგისტრალზე. საბჭოთა კავშირის საზღვრამდე რკინიგზის მშენებლობას აწარმოებს ჩინეთის მთავრობა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ყოველმხრივ ტექნიკურ დახმარებას გაუწევს. შემდეგ რკინიგზის ხაზი გაგრძელებულ იქნება ყაზახეთის სსრ დედაქალაქ ალმა-ატამდე.

რკინიგზის ხაზი ლანჯოუ—ურუმჩი—ალმა-ატა უმოკლესი გზით დააკავშირებს საბჭოთა კავშირს ჩინეთთან, ხელს შეუწყობს ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას, სინძიანის პროვინციაში ფერადი და იშვიათი ლითონების მოპოვებას, ნავთობის მოპოვებასა და გადამუშავებას, რასაც საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შერეული საზოგადოებები მოახდენენ.

უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ძინინ—ულან-ბატორის მაგისტრალის მშენებლობასაც. როგორც ცნობილია, ოციოდე წლის წინათ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას სრულიად